პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
1 სექტემბერი
1939 წ.
№ 200 (5600)
ფასი 10 კაპ.

სასწავლო წელი დაიწყო

დამთავრდა საზაფხულო არდადეგები. ზაფხულის განმავლობაში ჯანსაღად დასვენებულმა მასწავლებლებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ მიაშურეს მათთვის საყვარელ სკოლას, რათა კვლავ განაახლონ დაუღალავი მუშაობა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის, მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის, ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი მოძღვრების დაუფლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ახალი თაობა გარემოსილია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, დიდი სტალინისა და მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღებითა და ნამდვილი მამობრივი მზრუნველობით, სასწავლო წლის დასაწყისი გადაქცეულია საერთო-სახალხო დღესასწაულად. ჩვენი სამშობლო არაფერს არ იშურებს იმისათვის, რომ ჩვენი ბედნიერი თაობა საუკეთესოდ ცხოვრობდეს, საუკეთესოდ სწავლობდეს, საუკეთესოდ მუშაობდეს!

ყოველწლობით ახალი და ახალი მიღწევებით ხვდებიან ორდენოსანი საქართველოს სკოლები ახალ სასწავლო წელს.

ლენინ - სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი **სტალინის** მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგია ის მიღწევები, რომლებიც მასწავლებელთა ფალანგამ მოიპოვა მოწაფეთა საბჭოურად აღზრდის საქმეში. ამ წარმატებების შედეგად გასულ წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 4 ათასზე მეტი მოწინავე მასწავლებელი დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის არის საქართველოს სკოლების 126 მოწინავე მასწავლებელი. საქართველოს მთავრობამ 84 მასწავლებელს მიანიჭა დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება.

საბჭოთა სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკთა XVIII ყრილობისა და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელშიც ფართოდ არიან ჩაბმული მზიური საქართველოს პედაგოგები, საბჭოთა სკოლის მუშაკები.

ვიწყებთ რა ახალ სასწავლო წელს, ჩვენს პედაგოგებს, სახალხო განათლების მუშაკებს ერთი წამითაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ 1939-40 სასწავლო წელი ჩვენი სახალხო განათლების ისტორიაში შევა როგორც XVIII პარტიული ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაშლის პირველი წელი.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დააყენა XVIII პარტიულმა ყრილობამ სახალხო განათლების მუშაკების წინაშე. ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა** ამ ყრილობაზე სთქვა: „ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში“. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს მასწავლებელთა და სახალხო განათლების ყველა მუშაკის დარაზმვას, ყოველდღიურ მუშაობას, სოციალისტური შრომის მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

სკოლისა და მასწავლებლის ნაყოფიერი, ენერგიული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი ეპოქის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რაც გამოიხატება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

სკოლისა და მასწავლებლის ნაყოფიერი, ენერგიული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ უნაკლოდ განვახორციელოთ საყოველთაო საშუალო სწავლება ქალაქად და დავამთავროთ საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში, რაც საბრძოლო ამოცანად დაგვისახა ბოლშევიკთა XVIII ყრილობამ.

საბჭოთა ძლევამოსილი მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა **ვ. მოლოტოვმა** ჩვენს წინაშე დააყენა ამოცანა, რომ საშუალო სკოლის დამთავრების წინ მოწაფეებმა უკვე მიიღონ თუნდაც ნაწილობრივი მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა და მოითხოვს სკოლისა და მასწავლებლის ახლებურად მუშაობას, თვალსაჩინოებისა და პოლიტექნიზმის ლენინური პრინციპების განხორციელებას.

ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე უნდა გაიშალოს მოფიქრებული, გეგმაშეზომილი მუშაობა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენი სკოლების მუშაობას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოს 14 რაიონის 133.207 მოსწავლიდან საშემოდგომო გამოცდა 19.114 მოსწავლეს დაენიშნა. საკმაოდ დიდია აგრეთვე მეორეწლიან მოწაფეთა რაოდენობა, რაც მოწმობს ჩვენი ზოგიერთი სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოს ჯერ კიდევ არასაკმარის მუშაობას.

თვითეულ პედაგოგს, სკოლის ყველა მუშაკს მტკიცედ უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ წლის ბოლოს ის მასწავლებელი გამოვა გამარჯვებული, რომელიც ახლავე, დღეიდანვე გაშლის გეგმიან მუშაობას მოწაფეთა ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, რომელიც დღეიდანვე შეუდგება ნაყოფიერ და კეთილსინდისიერ მუშაობას მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის. ძირშივე შემცდარი და მიუღებელია ისეთი პრაქტიკა, როცა სკოლები, მასწავლებლები ჩამორჩენილ მოწაფეთათვის დახმარებას ე. წ. „დამატებითი საათების“ საშუალებით, კამპანიის წესით იწყებენ უკეთეს შემთხვევაში სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან, ან წლის ბოლოს. საქმე ის არის, რომ სასწავლო წლის პირველი დღიდანვე შევუხამოთ ერთმანეთს მთელ სკოლასთან მუშაობა თვითეული მოწაფისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, აქედანვე აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რომელნიც მოწაფეთა ჩამორჩენილობას იწვევენ. სწორედ ამ გზით შეიძლება მოწაფეთა ნამდვილად მთლიანი წარმატების მიღწევა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელობითს მუშაობას. საქართველოს განსახკომმა საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად სკოლებს დაუგზავნა მოწაფეთა ორგანიზაციების ახალი დებულება, რომლის განხორციელება დიდად დაეხმარება სკოლას აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებაში.

საქართველოს სკოლებში ახალი სასწავლო წლის ერთერთი საბრძოლო ამოცანაა დიდი რუსი ხალხის ენის — რუსული ენის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესება. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, საქართველოს მთავრობის და პირადად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მზრუნველობით ამ საგნის სწავლება ჩვენს სკოლებში მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. მაგრამ ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მასწავლებლისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა.

ჩვენი პედაგოგების, სახალხო განათლების ყველა მუშაკის წინაშე, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დასმულია საბრძოლო ამოცანა: ავიყვანოთ საბჭოთა სკოლა სტალინური ეპოქის დონემდე, ახალი სასწავლო წელი გადავაქციოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მძლავრი აღმავლობის წლად.

ჩვენი სკოლა, მასწავლებელი, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან ხელიხელჩაკიდებულნი, მშობლებთან მჭიდრო კავშირში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცოცხალი, კონკრეტული ხელმძღვანელობით შესძლებენ მათს წინაშე დასმულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

მხურვალე, ბოლშევიკური სალამი ორდენოსანი საქართველოს მასწავლებლობასა და მოწაფეობას!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტიკურ. უფროსთა შემადგენლობის, წითელარმიელთა და ჰოსპიტლების მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს გამოჩენილი გულადობისა და სიმამაცისათვის, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტიკური, უფროსთა შემადგენლობა, წითელარმიელები და ჰოსპიტლის მუშაკები — სულ 903 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 83 კაცი, მათ შორის: ლეიტენანტი ვლადიმერ ალექსის-ძე **აზბუკინი**, უმცროსი მეთაური ბიქტორ ალექსის-ძე **ამინევი**, ბატალიონის კომისარი ისიდორე ესტატეს-ძე **ასტაპენკო**, ბრიგადის ექიმი მიხეილ ნიკიფორეს-ძე **ახუტინი**, კაპიტანი ალექსანდრე სელივერსტის-ძე **ბოლშაკოვი**, უფროსი ლეიტენანტი ალექსი პეტრეს-ძე **ბოსოვი**, პოლიტხელის მოადგილე ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ბუტუსოვი**, წითელარმიელი ალექსანდრე სიმონის-ძე **ბიჩკოვი**, პოლიტხელი პროკოფი თევდორეს-ძე **დოვჟიკი**, მე-2 რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ზინობი სტეფანეს-ძე **დოროფეევი**, უმცროსი ლეიტენანტი პეტრე დიმიტრის-ძე **ჟიგალოვი**, სამხედრო ფერშალი ალექსი თევდორეს-ძე **ზანინი**, მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ვასილ არკადის-ძე **კახანსკი**, მაიორი პავლე ათანასეს-ძე **მიაგკოვი**, დივიზიის კომისარი მიხეილ სიმონის-ძე **ნიკიშევი**, პოლკის კომისარი ვასილ ანდრიასძე **სიჩოვი** და სხვები.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 595 კაცი.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებულია 134 კაცი.

მედლით „სიმამაცისათვის“ დაჯილდოებულია 33 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულია 58 კაცი. (საქდესი).

ქრონიკა

30 აგვისტოს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა ლატვიის მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი **ბირზნეკსი**, რომელსაც ახლავან ლატვიის სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოოპერატივების წარმომადგენლები.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ **ბირზნეკსს** შეხვდნენ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვასინი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ბარკოვი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიის ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. **ვასიუკოვი**, უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. **სმირნოვი** და ლატვიის მისიის შემადგენლობა ელჩის ბ-ნ შ. **კოცინშის** მეთაურობით.



დღეს საბჭოთა სკოლებში იწყება სასწავლო წელი. **სურათზე:** თბილისის ლენინის რაიონის მე-36 სკოლის შესასვლელთან. წინა პლანზე მერვე კლასის მოსწავლენი ვახტანგ ცერცვაძე და მაყვალა რამიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 31 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის შესახებ

31 აგვისტოს, დღის 1 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

მოხსენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხის — საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროექტის შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი **კ. ე. ვოროშილოვი,** რომელსაც ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. **კ. ე. ვოროშილოვის** მოხსენების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აწესებს სესიის შემდგომი მუშაობის წესრიგს, რის შემდეგაც თავმჯდომარე ამხ. **ნ. მ. შვერნიკი** კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებულ სხდომას დახურულად აცხადებს.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1939 წლის 31 აგვისტოს სხდომის შესახებ

31 აგვისტოს, დღის 2 საათსა და 45 წუთზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

დღის წესრიგშია კამათი საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ბ. ა. დვინსკი** (ტაგანროგის საარჩევნო ოლქი, როსტოვის ოლქი), **კ. ფ. სახაროვა** (კინეშმის საარჩევნო ოლქი, ივანოვოს ოლქი), **დ. ი. ნოვიცკი** (ორშის ოლქი, ბელორუსიის სსრ), **ე. ვ. კატაევა** (მელეკესის საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი), **ვ. დ. ბოგდანოვი** (კრასნოგვარდეისკის საარჩევნო ოლქი, ლენინგრადის ოლქი) და **ე. მ. კოჟუშანა** (გაისინის საარჩევნო ოლქი, ვინიცის ოლქი).

დეპუტატ კოჟუშანას სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება. თავმჯდომარე, დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო** სხდომას აცნობებს, რომ რადგანაც დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს მოხსენება და კანონის წარდგენილი პროექტი, თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი** უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

დეპუტატ **ა. ა. კუზნეცოვის** წინადადებით კავშირის საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას — პროექტი კანონისა საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილი, ძირითადად მიღებულ იქნას. არჩეულ იქნას კომისია, რომელიც განიხილავს შესწორებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის საბჭოს კანონის საბოლოო ტექსტს. ამის შემდეგ კავშირის საბჭო ამტკიცებს კომისიის შემდეგ შემადგენლობას: თავმჯდომარე — **დ. ს. კოროტჩენკო,** კომისიის წევრები: **ი. ვ. ალექსეენკო, ა. მ. ალემასოვი, ზ. ა. ანდრეევა, მ. ა. ანტიპოვი, ი. ახუნბაბაევი, ა. ა. ბაიკოვი, ა. ვ. ბელიაკოვი, ვ. დ. ბოგდანოვი, ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ვოროშილოვი, ე. ა. გონობობლევა, ს. ა. დანილინი, ბ. ა. დვინსკი, მ. გ. ეფრემოვი, ა. ა. ჟდანოვი, ი. ს. ისაკოვი, ე. ვ. კატაევა, ე. მ. კოჟუშანა, ა. ა. კუზნეცოვი, ნ. გ. კუზნეცოვი, გ. ი. კულიკი, ა. დ. ლოქტიონოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. ზ. მეხლისი, პ. ი. ნემჩენკო, დ. ი. ნოვიცკი, დ. გ. პავლოვი, კ. ფ. სახაროვა, ნ. ს. ხრუშჩევი, ბ. მ. შაპოშნიკოვი, პ. პ. შირშოვი, ე. ა. შჩადენკო, ა. ს. შჩერბაკოვი, დ. ს. იუდინი.**

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 31 აგვისტოს სხდომის შესახებ

31 აგვისტოს, დღის 5 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგშია — კამათი საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ა. კაზაკპაევი** (აკმოლინსკის საარჩევნო ოლქი, ყაზახეთის სსრ), **ა. ა. ხორავა** (გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ), **მ. ტ. იაკუბოვი** (ბაქოს საქალაქო საარჩევნო ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), **შ. მ. არუშანიანი** (მიქოიანის საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ) და **ვ. ს. მუსინსკი** (ჩრდილოეთის საარჩევნო ოლქი, რსფსრ).

დეპუტატ მუსინსკის სიტყვის შემდეგ კამათი შესწყდა. ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** აუწყებს დეპუტატებს, რომ დეპუტატების მიერ მოხსენებისა და კანონის წარმოდგენილი პროექტის ერთსულოვანი მოწონების გამო თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი** უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

დეპუტატ **დ. ფ. მარკინის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას — პროექტი კანონისა საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილი, ძირითადად მიღებულ იქნას. არჩეულ იქნას კომისია, რომელიც განიხილავს შესწორებებს და კანონის საბოლოო ტექსტს დასამტკიცებლად წარმოუდგენს ეროვნებათა საბჭოს. ამის შემდეგ ეროვნებათა საბჭო ამტკიცებს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — **პ. ა. ტიურკინი,** კომისიის წევრები: **შ. მ. არუშანიანი, ტ. ალდაბერგენოვი, ხ. არტიკოვი, გ. ფ. ბაიდუკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ვ. ა. ვავაშკინი, ნ. ლ. გარიაევი, მ. ვ. გორბაჩოვი, ო. პ. დენისოვი, ნ. ნ. დუბინინი, ა. ვ. ერმაკი, ა. ს. ისმაილოვი, ნ. გ. კუზნეცოვი, გ. ა. კარკარიანი, პ. ფ. კრივონოსი, პ. ე. კრივოხატკო, ო. ტ. კოტენევა, მ. ბ. კასუმოვი, ფ. ი. ლაშტობა, ნ. ა. მასლენიკოვა, ტ. ა. მოისეევა, მ. ს. მანუკიანცი, ვ. ს. მუსინსკი, ა. ს. პეტროვი, პ. ი. პუმპური, ს. კ. ტიმოშენკო, ა. ა. ხორავა, მ. ფ. შკირიატოვი, კ. ნ. შეროზია, მ. ტ. იაკუბოვი.**

ამით ეროვნებათა საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის მესამე სხდომა იხურება.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 31 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის შესახებ

31 აგვისტოს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მესამე გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

დღის წესრიგშია საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ამ საკითხზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი,** რომელსაც დეპუტატები ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ დეპუტატ **ა. ს. შჩერბაკოვს** შემოაქვს წინადადება: სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ამომწურავი სიცხადისა და თანამიმდევრობის გამო, კამათი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მოლოტოვის საინფორმაციო ცნობის გამო არ იქნას წარმოებული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

შემდეგ დეპუტატ **შჩერბაკოვის** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭის ყრით ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას:

„მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

2. რატიფიცირებულ იქნას ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც დადებულია მოსკოვში 1939 წლის 23 აგვისტოს“.

ამით კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მესამე გაერთიანებული სხდომა იხურება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის სხდომების შესახებ

1 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება, კავშირის საბჭოს სხდომა.

1 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაშთების ლიკვიდაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სანაპირო ზოლში

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარის შტაბის ცნობით, 5-დან 17 აგვისტომდე მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მონღოლეთ - საბჭოთა და იაპონია-მანჯურიის ჯარებს შორის ადგილი ჰქონდა მზვერავთა მცირე ჯგუფების შეტაკებებს. ამ პერიოდის განმავლობაში იაპონიის ავიაცია რამდენჯერმე შეეცადა შემოჭრილიყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა მონღოლეთ - საბჭოთა ავიაციის მიერ. იაპონიის ავიაციის თავდასხმის მოგერიებისას წარმოებული საჰაერო ბრძოლების შედეგად მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ 5-დან 17 აგვისტომდე ჩამოაგდო იაპონიის 31 თვითმფრინავი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ დაჰკარგა 7 თვითმფრინავი.

17 აგვისტოს იაპონია-მანჯურიის ჯარმა, რომელსაც ახალი ძალები მოუვიდა, იერიში მიიტანა მონღოლეთ - საბჭოთა ჯარის პოზიციებზე მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთ ნაპირზე, ამ მდინარის აღმოსავლეთით ექვსი კილომეტრის მანძილზე და ცდილობდა დაეკავებინა მთელი რიგი მნიშვნელოვანი გაბატონებული სიმაღლეები.

17, 18 და 19 აგვისტოს განმავლობაში მონღოლეთ - საბჭოთა ჯარმა მოიგერია იაპონია - მანჯურიის ჯარის ყველა იერიში და უკუაგდო იგი წინანდელ პოზიციებზე, აიძულა რა გადასულიყო თავდაცვაზე.

20 აგვისტოს მონღოლეთ - საბჭოთა ჯარი, რომელსაც დახმარებას უწევდა მონღოლეთ - საბჭოთა ავიაცია, შეტევაზე გადავიდა მთელი ხაზით მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით. 21—28 აგვისტოს განმავლობაში იაპონია - მანჯურიის ჯარი, რომელსაც ორივე ფლანგიდან გარს შემოერტყა მონღოლეთ - საბჭოთა ჯარი, და რომელმაც დიდძალი ხალხი და მატერიალური ნაწილი დაჰკარგა, ლიკვიდირებულ იქნა.

იაპონელ - მანჯურელთა მცირე ნაწილების ცდა კვლავ გადმოსულიყვნენ შეტევაზე უკუგდებულ იქნა მონღოლეთ - საბჭოთა ჯარის მიერ. 28 აგვისტოს ღამით იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაშთები ლიკვიდირებულ იქნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მონღოლეთ - საბჭოთა ჯარი მტკიცედ გამაგრდა საზღვარზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ.

მონღოლეთ - საბჭოთა ჯარის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოვიდა 294 შეიარაღებული მანჯურელი მანჯურიის ჯარის პირველი შერეული ბრიგადის მე-14 ქვეითი პოლკის ოფიცრების მეთაურობით.

მონღოლეთ - საბჭოთა ჯარის ნაწილებმა იაპონელ - მანჯურელთა ნაწილების ლიკვიდაციის დროს ხელთ იგდეს: 155 მ/მ 5 ქვემეხი, 150 მ/მ 7 ქვემეხი, 105 მ/მ 12 ქვემეხი, 122 მ/მ 3 ქვემეხი, 75 მ/მ 50 ქვემეხი, 37 მ/მ 67 ქვემეხი, სულ 144 ქვემეხი; 67 დაზგის ტყვიამფრქვევი; 98 ხელის ტყვიამფრქვევი; 36 ნაღმტყორცნი; 9.000 შაშხანა; 12.000 სხვადასხვა ყალიბის ყუმბარა; 8 ტანკი; 8 ჯავშნიანი მანქანა; 14 ტრაქტორი; 68 სატვირთო მანქანა; 19 მსუბუქი მანქანა.

იაპონიის ავიაცია, ცდილობდა რა დახმარება გაეწია ხმელეთის ჯარისათვის, რომლის წინააღმდეგ მონღოლეთ - საბჭოთა ჯარს იერიში მიჰქონდა, იწყებდა ბრძოლას დიდი შენაერთებით. 20-დან 27 აგვისტომდე მთელი რიგი საჰაერო ბრძოლების დროს მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონიის 164 თვითმფრინავი. აქედან 123 ავიაგამანადგურებელი, 36 ყუმბარმტყორცნი და 5 მრავალადგილიანი საშტაბო თვითმფრინავი. ამასთან მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ დაჰკარგა 16 თვითმფრინავი.

ამას გარდა, 28 აგვისტოს მონღოლეთ - საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონიის 11 თვითმფრინავი, მონღოლეთ - საბჭოთა ავიაციას არავითარი ზარალი არ უნახავს; 29 აგვისტოს ჩამოგდებულ იქნა იაპონიის 8 თვითმფრინავი, მონღოლეთ - საბჭოთა ავიაციამ დაჰკარგა 1 თვითმფრინავი, 30 აგვისტოს მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონიის 21 თვითმფრინავი, თვითონ კი 1 თვითმფრინავი დაჰკარგა. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

საომარი მზადება

ინგლისში

ლონდონი, 31 აგვისტო (საქდესი). როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს ხვალ განკარგულება გასცეს იმის შესახებ, რომ დაიწყოს ბავშვების, ინვალიდებისა და ორსული ქალების ევაკუაცია იმ რაიონებიდან, რომლებსაც საშიშროება მოელის.

უკვე დამზადებულია 370 მილიონი ტომარა ქვიშისათვის. საზენიტო ქვემეხებთან, საჰაეროსტატო სადგურებთან, ჰოსპიტლებთან, მთავრობის შენობებთან, დიდ საწყობებთან და მაღაზიებთან ქვიშიანი ტომრებისაგან მოწყობილია საცავი კედლები. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განკარგულება მიიღო დაუყოვნებლივ მოამზადოს აირსაფრებები.

გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, რომ იორკშირის საფეიქრო ფაბრიკები დღე და ღამე მუშაობენ მთავრობის დიდი დაკვეთების შესასრულებლად. ინგლისის არმიის მანევრები, რაც სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო, გადადებულია.

მექანიკოსთა გაერთიანებული კავშირის საგანგებო ყრილობამ მიიღო რეზოლუცია მთელ რიგ სამუშაოებზე ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენების შესახებ.

საფრანგეთში

ბრიუსელი, 31 აგვისტო (საქდესი). გუშინ პარიზიდან პროვინციაში გადაიყვანეს 50 ათასი ბავშვი.

პოლონეთში

ვარშავა, 31 აგვისტო (საქდესი). პოლონეთში საყოველთაო მობილიზაცია ეხება ყველა ოფიცერს, უნტერ-ოფიცერსა და თადარიგის რიგით შემადგენლობას 40 წლის ასაკამდე. ყველა დროებითი შვებულება ოფიცრებისათვის, უნტერ-ოფიცრებისათვის და რიგითი ჯარისკაცებისათვის გაუქმებულია. გამოცხადებულია აგრეთვე ტრანსპორტის საყოველთაო მობილიზაცია.

ერთდროულად გამოცემულია დეკრეტი მოსახლეობის საყოველთაო შრომითი ბეგარის შემოღების შესახებ. დეკრეტი ითვალისწინებს ქალაქისა და სოფლის 17 წლიდან 60 წლამდე ასაკის მცხოვრებთა მიერ იმ სამუშაოთა სავალდებულო შესრულებას, რომლებიც პირდაპირ ანუ არაპირდაპირ არის საჭირო სახელმწიფოს თავდაცვისათვის.

ბელგიისა და ჰოლანდიის სამხედრო ღონისძიებანი

ბრიუსელი, 31 აგვისტო (საქდესი). მატარებლების მიმოსვლა ბელგიიდან ჰოლანდიაში შეწყვეტილია. გერმანიასთან მიმოსვლა დღეში ორი მატარებლით სწარმოებს— ოსტენდედან კელნის მიმართულებით და უკან. მოძრაობა საფრანგეთისაკენ, ისევე როგორც შვეიცარიისაკენ, ნორმალურად სწარმოებს, გარდა ბაზელის მიმართულებისა.

როგორც ფურნიეს სააგენტო იუწყება, ჰოლანდიაში მობილიზებულია რეზერვისტების 15 კლასი, რომელშიც შედიან 1924-1938 წლები (სულ დაახლოვებით 450 ათასი კაცი). მობილიზაცია პრაქტიკულად დამთავრებულია.

ჰენდერსონი რიბენტროპთან

ბერლინი, 31 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა 30 აგვისტოს ღამით მიიღო ინგლისის ელჩი ჰენდერსონი. ინგლისის ელჩმა რიბენტროპს ჩააბარა ინგლისის მთავრობის პასუხი ჰიტლერის მიერ ინგლისის მთავრობისათვის გაგზავნილ უკანასკნელ მიმართვაზე.

ა. გ. სტახანოვი საქართველოში

ამხ. ა. სტახანოვმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები

30 აგვისტოს ამხ. ალექსი სტახანოვი და დ. კონცედალოვი გაეცნენ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს. მათთან ერთად იყვნენ ამხანაგები: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. მ. ჯაში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კვაჭაძე, „კომუნისტის" პ-მგ. რედაქტორი ამხ. ვ. ხატიაშვილი, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სალაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი აკ. ვასაძე და ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ამხ. ბ. ლიუდვიგოვი.

დილით ამხ. ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი ესტუმრნენ „კომუნისტის" რედაქციას, რის შემდეგ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. მუზეუმის მონუმენტურმა შენობამ და იქ წარმოდგენილმა შესანიშნავმა დოკუმენტებმა სტუმრებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამხ. ა. სტახანოვმა მუზეუმის თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ იგი აღფრთოვანებულია მუზეუმში წარმოდგენილი საუცხოო დოკუმენტების ნახვით, რომლებშიც თვალნათლივ და დამაჯერებლადაა ასახული ჩვენი პარტიის გმირული წარსული და ამხანაგ სტალინის უდიდესი რევოლუციური მუშაობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე ავლაბრის რესტავრირებულმა არალეგალურმა სტამბამ. სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს სტამბის მიწისქვეშა სარდაფი და დიდი ინტერესით მოისმინეს ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ ბოლშევიკები დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ცარიზმის დროს ამ სტამბას არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის საბეჭდად.

სტუმრებმა ინახულეს აგრეთვე კომკავშირის ხეივანი და სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორი), რომელიც მათ ძალიან მოეწონათ. სტუმრებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის შესანიშნავმა მონუმენტმა, რომელიც აღმართულია პარკის მწვერვალზე.

30 აგვისტოს დღის 2 საათზე ამხ. ალექსი სტახანოვი და კონცედალოვი სამხედრო გზით გაემგზავრნენ საქართველოდან.

ალექსი სტახანოვი „კომუნისტის" რედაქციაში

30 აგვისტოს დილით „კომუნისტის" რედაქციას ესტუმრნენ: ამხ. ალექსი სტახანოვი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. მ. ჯაში, ამხ. დ. კონცედალოვი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კვაჭაძე, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სალაძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ამხ. აკ. ვასაძე.

რედაქციის მუშაკებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. „კომუნისტის" კოლექტივის სახელით ამხ. ალექსი სტახანოვსა და დ. კონცედალოვს მისალმა „კომუნისტის" პ.-მგ. რედაქტორი ამხ. ვ. ხატიაშვილი, რომელმაც სტუმრებს გადასცა ილუსტრირებული ალბომი. სოფლკორმა სიკო ჩანგაშვილმა ალექსი სტახანოვს საკუთარი ლექსით მიმართა.

ამხ. ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი ესაუბრნენ რედაქციის მუშაკებს თავიანთ შთაბეჭდილებებზე საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

საუბრის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა გადაიღეს სურათი „კომუნისტის" მუშაკთა ჯგუფთან.

წასვლისას ამხ. ა. სტახანოვმა დასტოვა წერილი საქართველოს მუშსოფლკორებისა და პრესის მუშაკებისადმი, რომელსაც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ.

ორდენოსან საქართველოს მუშსოფლკორებსა და პრესის მუშაკებს

საქართველოს მუშსოფლკორთა მრავალათასიან არმიას, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს, „კომუნისტის" საშუალებით ვუძღვნი გულწრფელ სალამს და საუკეთესო სურვილებს.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებმა, რომელთაც შეისისხლხორცეს ლენინურ-ისკრული პირველი ქართული გაზეთების სახელოვანი სტალინური ტრადიციები, უდიდესი მუშაობა გაშალეს ორდენოსანი საქართველოს საწარმოებში და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის.

ულრმესი კმაყოფილების გრძნობით შემიძლია აღვნიშნო, რომ ორდენოსან საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით შესძლეს ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის გზით მიეღწიათ დიდი ბელადის სამშობლო ქვეყნის უმაგალითო აღორძინებისა და გაფურჩქვნისათვის.

ჩემი გული სიხარულით აღსავსეა, რომ სტახანოვური მოძრაობის ოთხი წლისთავს ორდენოსანი საქართველოს მშრომელებთან ერთად ვზეიმობ დიდი სტალინის სამშობლოში.

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით უმაგალითოდ გაიზარდა ბოლშევიკური პრესის, როგორც მასების მებრძოლი ორგანიზატორის, როლი.

ჩვენს წინაშეა ისტორიული ამოცანა — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა. საქმე ეხება სტახანოვური მოძრაობის ახალ ბოლშევიკურ გაქანებას, რადგან ეს მოძრაობა, როგორც დიდი **სტალინი** გვასწავლის, „...გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად", საქმე ეხება იმ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

უკეთესად, რაც შეიძლება მრავალფეროვნად, მიმზიდველად და ცოცხლად უჩვენეთ მრეწველობისა და სოციალისტური მინდვრების წარჩინებული ადამიანები, ტექნიკის ნოვატორები. ფართოდ გაწიეთ პროპაგანდა სტახანოვური შრომის დანერგვისათვის, სტახანოვური სკოლების ყოველმხრივად განვითარებისათვის, სტახანოველთა ახალი არმიის აღზრდისათვის.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების კამპანია, რომელიც ჩატარდება ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო აღტყინების პირობებში, განუყრელად დაუკავშირეთ სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაქანებას, ახალ ბოლშევიკურ საქმეებს, ახალ გამარჯვებებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

უფრო მაგრად მოიმარჯვეთ ამ საქმეში პარტიის ყველაზე მძლავრი და მახვილი იარაღი. უფრო ახლოს დაუკავშირდით ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც გვიჩვენებენ სოციალისტური შრომის სასწაულებს.

მხურვალე სალამი საქართველოს მუშსოფლკორებს, ბოლშევიკური პრესის მუშაკებს!

ალექსი სტახანოვი

30 აგვისტო, 1939 წ.
თბილისი.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოში

1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დამუშავების ვადებისა და წესის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 28 აგვისტოს განიხილა 1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის ვადებისა და წესის საკითხი.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკსა, რაიონულ აღმასკომებსა და საქალაქო საბჭოებს 15 სექტემბრამდე წარადგინონ საქართველოს სახკომსაბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიაში სახალხო მეურნეობის განვითარების 1940 წლის გეგმები, მათ შორის — 1940 წლის 1 კვარტალისა — წარმოების, შრომის, თვითღირებულების, კაპიტალური მშენებლობის, საქონელბრუნვის, დამზადების, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ხოლო 25 სექტემბრისათვის — განაცხადი 1940 წლის და მასთან ერთად აგრეთვე პირველი კვარტალის საფონდო მოწყობილობაზე, მასალებზე, სათბობსა და ნედლეულზე.

1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენისას ყველა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს დავალებებით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას; კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით უნდა დაეყრდნონ 1939 წლის ლიმიტებს, ამა წლის 1 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო ორგანიზაციები და საწარმოები ვალდებული არიან წარადგინონ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში პირი 1940 წლის გეგმებისა, რომლებსაც ისინი ადგენენ საკავშირო სახალხო კომისარიატებსა და უწყებებში.

სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა 1 ოქტომბრისათვის წარადგინოს საქართველოს სახკომსაბჭოში 1940 წლის და მასთან ერთად აგრეთვე პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმა, 5 ოქტომბრისათვის განაცხადი 1940 წლის და მასთან ერთად აგრეთვე 1 კვარტალის მოწყობილობასა, მასალებსა, სათბობსა და ნედლეულზე, ხოლო 15 ოქტომბრისათვის — ადგილობრივი სამშენებლო მასალების, თხევადი და მაგარი სათბობის და ელექტროენერგიის ბალანსი.

ყველა საწარმო — საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი — ვალდებულია არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა წარადგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში განაცხადი 1940 წლის ადგილობრივ სამშენებლო მასალებსა, თხევად და მაგარ სათბობსა და ელექტროენერგიაზე.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა ხუთი დღის ვადაში უზრუნველჰყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი საჭირო ფორმებით 1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესადგენად.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ ნება დართო სახელმწიფო საგეგმო კომისიას ჩაატაროს 1 სექტემბერს რაიონული აღმასკომების საგეგმო განყოფილებათა და ადგილობრივ მრეწველობათა განყოფილებათა გამგეების საინსტრუქციო თათბირი. (საქდესი).

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-4, რიგგარეშე სესია

სესიის 1939 წლის 29 აგვისტოს სხდომათა დღიური

ეროვნებათა საბჭოში

29 აგვისტოს, დილით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში თავი მოიყარეს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებმა. კრემლის დიდ სასახლეში, როგორც წინა დღით, მრავალი სტუმარია. სხდომის დასაწყისისათვის ლოჟებში გამოჩნდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე — დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** და მისი მოადგილე — დეპუტატი **ჩ. ა. ასლანოვა.** თავმჯდომარე **ნ. მ. შვერნიკი** ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომას გახსნილად აცხადებს. იწყება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხის — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტის — განხილვა, რომლის შესახებაც წინა დღით მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ა. გ. ზვერევმა ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ვ. კულაგინს.** იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონპროექტს, რომელიც შემოტანილია რიგგარეშე სესიის განსახილველად, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 1934 წლის 31 მაისის კანონი, — ლაპარაკობს ამხ. კულაგინი, — რომელიც ამჟამადაც მოქმედებს, არ უპასუხებს მთლიანად საკოლმეურნეო მშენებლობის დღევანდელი პერიოდის ამოცანებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მტკიცე განაკვეთით აკრეფა, მიუხედავად კოლმეურნის პირადი მეურნეობისაგან მიღებული ფაქტიური შემოსავლისა და მიწათმოქმედების გარეშე მიღებული შემოსავლისა, ხშირად იწვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას, პირადი მეურნეობით გადაჭარბებულ გატაცებას და შრომის დისციპლინის შესუსტებას კოლმეურნეობებში. ორატორს დამახასიათებელი ცნობები მოჰყავს ბელორუსიის სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა 700 მეურნეობის სინამდვილიდან. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი პირადი მეურნეობიდან (ნატურალურ შემოსავალზედაც რომ უკვე არაფერი ვთქვათ) წლითი-წლობით იზრდებოდა. მაგრამ, გადასახადის შემოტანა ამ წლებში ტარდებოდა მტკიცე განაკვეთების მიხედვით მეტად მცირე ცვლილებებით.

— ეს ცნობები, — აცხადებს დეპუტატი კულაგინი, — ადასტურებენ, რომ საჭიროა იმ ცვლილებათა შეტანა საგადასახადო პრაქტიკაში, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი ითვალისწინებს.

ორატორი ნათელი მაგალითებით ასურათებს საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებს ბელორუსიის სს რესპუბლიკაში.

— ჩვენ გვაქვს, — ამბობს ამხ. კულაგინი, — ყველა პირობა იმისათვის, რომ ყოველმა კოლმეურნემ პატიოსნად იშრომოს კოლმეურნეობაში, განამტკიცოს საზოგადოებრივი მეურნეობა, მიიღოს დიდი შემოსავალი, იცხოვროს შეძლებულად, კულტურულად, ისარგებლოს საკოლმეურნეო წყობილების ყველა სიკეთით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონპროექტი მთლიანად და სავსებით უპასუხებს ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

შემდეგ დეპუტატი კულაგინი შეჩერდა კანონპროექტის ცალკეულ მუხლებზე, რომლებშიაც მას საჭიროდ მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილებები.

დეპუტატ კულაგინის შენიშვნები ეხება მიწათმოქმედების გარეშე მიღებული შემოსავლის აღრიცხვის წესს. იმ მეურნეობათათვის შეღავათების მინიჭების წესის დაზუსტებას, სადაც სამხედრო მოსამსახურენი არიან. იგი წინადადებას იძლევა, კანონის პროექტით გათვალისწინებული სამი ვადის ნაცვლად, დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის ორი ვადა და არ მიეცეს შეღავათი იმ პირთ, რომლებიც კოლმეურნეობაში შევლენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის პირველი ვადის შემდეგ.

დასასრულ დეპუტატი კულაგინი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაობა საგადასახადო შენატანების აკრეფის დარგში.

შემდეგ სიტყვით გამოდის დეპუტატი ა. ნ. ლინიკი. ის აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი ხელს შეუწყობს საწარმოო აღმავლობას სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინისა და მათი სამეურნეო სიმძლავრის განმტკიცებას. სუმის ოლქის ლებედინსკის რაიონის საკოლმეურნეო პრაქტიკის მაგალითებით ამხ. ლინიკი ცხადჰყოფს, რომ კოლმეურნეთა მნიშვნელოვან რაოდენობას დიდი შემოსავალი აქვს პირადი მეურნეობიდან (მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა), რის აღრიცხვაც აქამდე მთლიანად არ ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეწერის დროს. ცალკეული კოლმეურნეები, სარგებლობენ რა შეღავათით, როგორც კოლმეურნეობის წევრები, მთავარ ყურადღებას აქცევენ პირად მეურნეობას, შინამრეწველობას.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს, — ამბობს ამხ ლინიკი, — დიდი მნიშვნელობა ექნება კოლმეურნეობებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საქმისათვის.

ეხება რა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა პირადი მეურნეობის ცალკეული დარგების შემოსავლიანობის ნორმებს, დეპუტატი ლინიკი სთვლის, რომ პროექტში მეტად მცირე შემოსავალია გათვალისწინებული ისეთი დარგებიდან, როგორიც არის მეთამბაქოობა, მებოსტნეობა, ბალჩები, ბაღები და საკენკრეები, განსაკუთრებით რსფსრ რესპუბლიკაში, უკრაინასა და ბელორუსიაში.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი **ტ. ა. კონსტანტინოვი.**

იგი სავსებით იწონებს სესიის განსახილველად შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტს და აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობაში დანერგილმა უახლესმა ტექნიკამ საგრძნობლად შეამსუბუქა კოლმეურნის შრომა.

დეპუტატი კონსტანტინოვი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალმა კანონმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთთა აღმოფხვრას, ესე იგი პარტიის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას.

ახალი კანონი უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომს ზრდას, პროდუქტების სიუხვის შემდგომს ზრდას, მას ერთსულოვნად მოიწონებს კოლმეურნე გლეხობა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი.

დასასრულ დეპუტატი კონსტანტინოვი წინადადებას იძლევა დაბეგვრის განაკვეთის განსაზღვრის დროს ცალკე ჯგუფებად იქნას გამოყოფილი მინდვრისა და არამინდვრის ბოსტნები, აგრეთვე ცალკე ჯგუფად გამოიყოს ბაღჩის შემოსავალი.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი **ა. ბ. ბერდიევი.**

— სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, — ამბობს იგი, — სავსებით შეესაბამება საკოლმეურნეო წყობილების მოთხოვნებს. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეეგებებიან მას. ეს კანონი ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში დისციპლინის განმტკიცებას და ამით ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების შემოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი, რომელიც ამჟამად მოქმედებს, განაგრძობს ორატორი, მნიშვნელოვნად მოძველდა. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში კოლმეურნეობათა სახე მკვეთრად შეიცვალა. კოლმეურნეობაში შრომა მილიონობით კოლმეურნეთათვის ღირსებისა და სახელის საქმედ იქცა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი კოლმეურნეთა კიდევ უფრო მეტ დაინტერესებულობას შექმნის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების აღმავლობით.

დეპუტატ ბერდიევის აზრით, — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას ცალკეულ რესპუბლიკათა კონკრეტული პირობები.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **გ. თ. სტურუას.** იგი ლაპარაკობს, რომ ჩვენს სოციალისტურ სასოფლო მეურნეობას მოეპოვება ძვირფასი კადრები, რომელნიც დაეუფლნენ მიწათმოქმედების ტექნიკას და შეუპოვრად მუშაობენ მინდვრების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ამოცანის გადაჭრაზე. თავისი სიტყვების საილუსტრაციოდ მას მოჰყავს საქართველოს სს რესპუბლიკის გლეხობის ცხოვრების მკაფიო მაგალითები. კოლმეურნეები ითვისებენ ახალ კულტურებს, ადიდებენ ჩაის, ბაღებისა და თამბაქოს ფართობებს. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი წლითი-წლობით მატულობს.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი — ლაპარაკობს დეპუტატი სტურუა, — სავსებით ასახავს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისაკენ.

— უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, — ლაპარაკობს დეპუტატი **ო. ტ. ხარიტონოვა,** — კოლმეურნეობებში დიდი ძვრები მოხდა, კოლმეურნეობები განმტკიცდნენ როგორც მეურნეობრივად, ისე ორგანიზაციულადაც.

კოლმეურნეთა ძირითადი მასა პატიოსნად მუშაობს კოლექტიურ მეურნეობაში. ეს უდიდესი ცვლილებები სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მოხდა. ყველაფერს ამას ჩვენ მივაღწიეთ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის მაგალითით ორატორი ნათელჰყოფს, რომ ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეები, რომელთათვისაც პირადი მეურნეობის ინტერესები კოლმეურნეობის ინტერესებზე მაღლა სდგას. გასულ წელს ჩუვაშეთის რესპუბლიკაში ითვლებოდა 57 ათასი კაცი, რომლებიც გარე სამუშაოზე მიდიოდნენ. ისინი კოლმეურნეობებში არ მუშაობდნენ, მაგრამ მათი შემოსავალი მაინც არ იყო დაბეგრილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. იმავე წელს ჩუვაშეთში ცოტა როდი იყო ისეთი კოლმეურნე, რომელთაც კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. ეს ხალხი პირად მეურნეობას ეწეოდა, დიდ შემოსავალს იღებდნენ, მაგრამ სასოფლო - სამეურნეო გადასახადს თავს არიდებდნენ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად არის წარმოდგენილი სესიაზე, კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობებს, მიიპყრობს კოლმეურნეთა მეტ ყურადღებას კოლექტიური განსაზოგადოებული მეურნეობისადმი.

დეპუტატი **ა. ხ. მენბარიევი** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტს ახასიათებს, როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს. ამ დოკუმენტში ასახულია ის უდიდესი ცვლილებანი, რომელნიც მოხდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო წყობილება ჰქმნის ყველა პირობას კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

ამხ. მენბარიევი ლაპარაკობს ყირიმის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უდიდესი მიღწევების შესახებ. ამ რესპუბლიკის სოციალისტური მინდვრების 1.000-ზე მეტმა ენტუზიასტმა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა.

დეპუტატი მენბარიევი აღნიშნავს რომ ახალი კანონი გვაიარაღებს საბრძოლველად ყველა კოლმეურნის შემდგომი სოციალისტური აღზრდისათვის, შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის კოლმეურნეობებში. ახალი კანონი უზრუნველჰყოფს შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას თვითეული კოლმეურნისათვის, რომელიც პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს კოლმეურნეობაში.

ამხ. მენბარიევის გამოსვლის შემდეგ კამათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო სწყდება.

თავის საბოლოო სიტყვაში სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ა. გ. ზვერევმა აღნიშნა ის ერთსულოვნობა, რომლითაც ყველა ორატორმა მოიწონა წარმოდგენილი პროექტი ახალი კანონისა, რომელიც მთლიანად და სავსებით უპასუხებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის დარგში.

მომხსენებელი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების მიერ კანონის პროექტის გამო გამოთქმულ შენიშვნებს.

სახალხო კომისარს სწორად მიაჩნია დეპუტატ კულაგინის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ფინსახკომმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უფრო გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ მთლიანად და ვადაზე აიკრიფოს ყველა გადასახდელი და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიც. ამხ. ზვერევი სიტყვას აძლევს ეროვნებათა საბჭოს სესიას, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი სათანადო დასკვნებს გააკეთებს დეპუტატების შენიშვნებიდან.

თავმჯდომარე წინადადებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტის შესახებ სიტყვას აძლევს დეპუტატ **ნ. ა. ვოროტნიკოვს,** რომელსაც შემოაქვს წინადადება:

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც შემოტანილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ძირითადად მიღებული იქნას.

დეპუტატები ერთსულოვნად აძლევენ ხმას ამ წინადადებას.

ეროვნებათა საბჭო იღებს აგრეთვე დეპუტატ ვოროტნიკოვის წინადადებას — არჩეულ იქნას კომისია დეპუტატ **მ. ა. ბურმისტენკოს** თავმჯდომარეობით, რომელიც განიხილავს შესწორებებს და კანონის საბოლოო ტექსტს წარუდგენს დასამტკიცებლად ეროვნებათა საბჭოს.

დეპუტატ **მ. ა. ჩემბულატოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭოს სესია სწყვეტს — მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტის შესახებ — საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროექტის შესახებ — მოსმენილ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მოწვეულ იქნას 31 აგვისტოს, ხოლო მოხსენების განხილვა მოხდეს ცალ-ცალკე ორივე პალატაში.

ხურავს რა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომას, თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება 31 აგვისტოს. (საქდესი).

კავშირის საბჭოში

29 აგვისტოს, საღამოს, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** და მისი მოადგილე — დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო,** ხოლო ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

იწყება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტის განხილვა.

თავმჯდომარე **ა. ა. ანდრეევი** კამათში პირველ სიტყვას აძლევს დეპუტატ **შ. გ. აბსალიამოვს.**

— ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, — ამბობს დეპუტატი აბსალიამოვი, — ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ისე გამოიცვალა, რომ კაცი ვეღარ იცნობს. კოლმეურნეობები საბოლოოდ განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში შექმნილმა მძლავრმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ ყველა საჭირო მანქანა მისცა კოლმეურნეობებს.

სოფლად სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვებათა დიდებულ ილუსტრაციას წარმოადგენს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. იგი თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობას, გვიჩვენებს, თუ რა გრანდიოზული სიმდიდრე, რა სიუხვე მოიპოვა კოლმეურნე გლეხობამ.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არსებულ კანონს, რომელიც გამოცემულია 1934 წლის მაისში, — განაგრძობს ამხ. აბსალიამოვი, — მთელი რიგი სერიოზული ნაკლი აქვს. ამის საილუსტრაციოდ ორატორს მოჰყავს თათრეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა პრაქტიკიდან აღებული მაგალითები. ერთი და იმავე კოლმეურნეობის „პრობუჟდენიეს" ორ კოლმეურნეს აქვს შემოსავალი, რომელიც სულ სხვადასხვა წყაროებიდან შესდგება. კოლმეურნე ლაბუტინი კოლმეურნეობაში ცოტას მუშაობს, უფრო ჩექმის თელვას მისდევს და ეს მას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს. კოლმეურნე ისაევმა კი 400 შრომადღე გამოიმუშავა კოლმეურნეობაში. ამხ. ისაევი მთელ თავის ყურადღებას საკოლმეურნეო წარმოებას უთმობს. მაგრამ ლაბუტინი და ისაევი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან ერთი და იმავე რაოდენობით — თვითეული 75 მანეთს. ასეთი შემთხვევა ერთეული როდია.

გადასახადით არასაკმაოდ იბეგრებიან ერთპიროვნული მეურნეებიც. ხშირად ისინი გარეთ მუშაობენ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს კი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იხდიან, ამიტომ მათი შემოსავალი მთლიანად აღრიცხული არ არის.

ამხ. აბსალიამოვი მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის პროექტს. მას წინადადება შემოაქვს შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილებანი კანონპროექტის ცალკეულ მუხლებში. კერძოდ, მას მიზანშეწონილად მიაჩნია შეიცვალოს კანონის პროექტში დასახული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის ვადები.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტს, — ამბობს დეპუტატი ამხ. **გ. პ. ბუტენკო,** — მეტად დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ის მიმართულია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივად შემდგომი განმტკიცებისაკენ. პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი **სტალინი** დაუღალავად ზრუნავენ თვითეულ პატიოსან კოლმეურნეზე, კოლმეურნე მასების კეთილდღეობაზე.

ისევე, როგორც წინა ორატორს, დეპუტატ ბუტენკოსაც მოჰყავს მაგალითები, რომ ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს კოლმეურნეთა პირადი მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის აშკარა არასრულ დაბეგვრას.

ამხ. ბუტენკო იწონებს კანონის პროექტში გათვალისწინებული სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იმ მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე ტრანსპორტის მუშაკების დაბეგვრას, რომლებიც დამატებით ეწევიან სოფლის მეურნეობას.

ჩერდება რა გადასახადის აკრეფის პრაქტიკაზე, დეპუტატი ბუტენკო აღნიშნავს, რომ ამ საქმეში აუცილებელია სათანადო წესრიგის დამყარება და ფინანსიური ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ა. პ. ბალატინი.** ის ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდეს როლს სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ამბობს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისაგან განსხვავებით საბჭოთა ბიუჯეტში მოსახლეობის გადასახადს უმნიშვნელო ადგილი უკავია.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, ლაპარაკობს დეპუტატი ბალატინი, ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში, უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობათა წევრების საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორ შეთავსებას.

დეპუტატი **ვ. ვ. ვერენდიაკინი** თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს მორდოვეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებათა ჩვენებას ანდომებს.

რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს 3 ათასზე მეტი ტრაქტორი, დაახლოებით 700 კომბაინი და 300-ზე მეტი ავტომანქანა.

— კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობისათვის საზოგადოებრივი საკოლმეურნეო წარმოება გახდა ახლობელი და მშობლიური, — ლაპარაკობს დეპუტატი ვერენდიაკინი, მაგრამ მათთან ერთად არიან ისეთი კოლმეურნეებიც, რომლებიც კოლმეურნეობებს თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იყენებენ. ახალი კანონი, ასახავს რა კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს, მოწმობს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის უდიდეს მზრუნველობას კოლმეურნე გლეხობისათვის.

ორატორს შეაქვს კანონის პროექტში შესწორებანი და დამატებანი, რომელნიც ეხებიან არაკოოპერირებული კუსტარული სარეწაოებისა და აგრეთვე მიწათმოქმედების გარეშე მიღებული სხვა შემოსავლის დაბეგვრას სამეურნეო გადასახადით.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **ნ. ი. ნატალევიჩი,** რომელიც აღნიშნავს, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების საგადასახადო სისტემისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახადის მთელი სიმძიმე მშრომელთა ზურგზე გადააქვთ. ხოლო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო შემოსავლის წყაროა სახალხო მეურნეობის ზრდა. გადასახადები, რომელსაც მშრომელები იხდიან, თვით მშრომელთა საჭიროებას ხმარდება.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, — ლაპარაკობს დეპუტატი ნატალევიჩი, — გამოსახავს ყველა პატიოსანი კოლმეურნის ნება-სურვილს. ამხ. ნატალევიჩი აღნიშნავს, რომ ბელორუსიის სს რესპუბლიკის ცალკეული ერთპიროვნული გლეხები და კოლმეურნეები სისტემატურად წლითი-წლობით არ ასრულებენ თავიანთ საგადასახადო ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ბელორუსიის სს რესპუბლიკის საფინანსო ორგანოები კი ხშირად უმოქმედოდ არიან და სათანადო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ გადაახდევინონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმათ, ვინც მას არ იხდის. სსრ კავშირის მიწსახკომმა უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მოკავშირე რესპუბლიკების საფინანსო აპარატის მუშაობის შემოწმებას.

ეხება რა კანონის პროექტს, დეპუტატ ნატალევიჩს საჭიროდ მიაჩნია გაითვალისწინოს კანონში შეღავათები კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული გლეხობისათვის სტიქიური უბედურების შემთხვევაში (ხანძარი, წყალდიდობა და სხვ.).

— საბჭოთა სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა, — ამბობს დეპუტატი **ი. პ. კირილოვი,** — ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის მუშათა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცების ინტერესებიდან, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ინტერესებიდან და კოლმეურნე გლეხობის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდის ინტერესებიდან. ორატორს მოჰყავს ნათელი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის განუწყვეტელ ზრდას კუიბიშევის ოლქში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, ამთავრებს თავის გამოსვლას დეპუტატი კირილოვი, მთელი თავისი არსებით მიმართულია კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერებისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და გაფურჩქვნისაკენ.

კამათში უკანასკნელი გამოდის დეპუტატი **ა. კენჟეგარაევი.**

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, — ლაპარაკობს იგი, — შეადგენს საერთო ბიუჯეტის მხოლოდ ერთ პროცენტს. თვითეულ საკოლმეურნეო კომლზე წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 30 მანეთი მოდის. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების არსებული წესი პატიოსან კოლმეურნეს, რომელიც მთელ თავის ძალას კოლმეურნეობათა განვითარებას ანდომებს, ისეთ ადამიანებთან ათანაბრებდა, რომელნიც მთელ თავიანთ შრომას პირადად მათს კუთვნილ მეურნეობაზე ხარჯავენ. ახალი კანონი სწორად ითვალისწინებს ერთპიროვნულ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადიდებას.

საბოლოო სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. **ა. გ. ზვერევს.** იგი ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი აგებულია ლენინ-სტალინის პარტიის იმ პოლიტიკის სრულიად შესაბამისად, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. მომხსენებელი აღნიშნავს იმ ერთსულოვნობას, რომლითაც კამათში გამოსული დეპუტატები იწონებდნენ ახალი კანონის წარმოდგენილ პროექტს.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება იმ შენიშვნებზე, რომელიც კანონის პროექტის განხილვის დროს გამოითქვა. მას სწორად მიაჩნია საფინანსო ორგანოების მუშაობის კრიტიკა და დაპირებას იძლევა, რომ მხედველობაში მიიღებს ამ კრიტიკას როგორც სახალხო კომისარიატის, ისე მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში.

ამხ. ზვერევის საბოლოო სიტყვის შემდეგ დეპუტატ **ნ. დ. იგნატოვს** შემოაქვს წინადადება — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შეტანილია სესიის განსახილველად, ძირითადად მიღებულ იქნას და არჩეულ იქნას კომისია შესწორებათა განხილვისა და კანონის საბოლოო ტექსტის კავშირის საბჭოს დასამტკიცებლად წარდგენისათვის.

კავშირის საბჭო ერთხმად იღებს დეპუტატ იგნატოვის წინადადებას. ერთხმად მტკიცდება აგრეთვე კომისიის შემადგენლობა დეპუტატ **მ. დ. ბაგიროვის** თავმჯდომარეობით.

დეპუტატ **ზ. ა. ანდრეევას** შემოაქვს წინადადება, რომ მოხსენება სესიის დღის წესრიგის მეორე პუნქტის — საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროექტის შესახებ მოსმენილ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მოწვეულ იქნას 31 აგვისტოს, ხოლო მოხსენების განხილვა მოხდეს ცალ-ცალკე პალატებში.

ამ წინადადებას იღებენ ერთხმად.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** ხურავს კავშირის საბჭოს მეორე სხდომას და აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება 1 სექტემბერს. (საქდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საშემოდგომო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. მეტწილ რაიონებში საშემოდგომო თესვისათვის მზადება მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 20 აგვისტოსათვის ანეულის პირველი დამუშავება შესრულებულია 47,6 პროცენტით, ხოლო მეორე დამუშავება — 15,8 პროცენტით. ანეულის დამუშავება განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩება ბაშკიჩეთის (12,7%), დუშეთის (12,5%), ლუქსემბურგის (23,3%), წითელ-წყაროს (35%) და გორის (47,4%) რაიონებში. თბილისის, საგარეჯოს და კასპის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ანეული სარეველათი დაიფარა.

მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო კულტურებისათვის განკუთვნილი მიწის ხვნა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ, გეგმით გათვალისწინებული 134.290 ჰექტარის ნაცვლად, მოხნულია მხოლოდ 22.070 ჰექტარი — გეგმის 16,4 პროცენტი. განსაკუთრებით ჩამორჩებიან წითელას (0,4%), სტალინირის (0,5%), წნორის (11,8%), დუშეთის (6,3%), ახმეტის (17,5%) და თელავის (9,4%) მტს-ები.

ჩამორჩენილია მუშაობა თესლის გაწმენდისა და მისი სათესლე კონდიციებამდე მიყვანის მხრივ.

საშემოდგომო თესვისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა იმის შედეგია, რომ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამ საქმეს სრულიად არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევენ.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაუყოვნებლივ მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში ანეულის ნაკვეთების მთლიანი დათვალიერება და იმის მიხედვით, თუ რამდენადაა ანეული სარეველებით დანაგვიანებული, დააწესონ ცალ-ცალკე თვითეული ნაკვეთი ანეულის დამუშავების სისტემა; განსაზღვრონ კოლმეურნეობის თვითეულ ბრიგადაში სათოხნი კულტურების ნაკვეთები, საშემოდგომო თესვისათვის განკუთვნილნი, და უზრუნველჰყონ მოსავლის აღება ამ ფართობებზე ისეთ ვადებში, რომ ღრმა მოხვნის შემდეგ ნიადაგმა თესვის დაწყების ვადისათვის საკმაოდ დაიწიოს; თავთავიან კულტურათა ნაწვერალის ნაკვეთები, როგორც აჩეჩილი, ისე აუჩეჩელი, აგრეთვე ნათესი ბალახების ნაკვეთები, საშემოდგომო თესვისათვის განკუთვნილნი, რომელნიც მოსავლის აღებისთანავე არ მოუხნავთ, — მოხნან თესვის დაწყებამდე არა უგვიანეს 15-20 დღისა, ამავე დროს, მოხვნისთანავე, დაფარცხონ; ყველა კოლმეურნეობაში ერთი დეკადის ვადაში უნდა დამთავრდეს სათესლე ნაკვეთების გამოყოფა; სათესლეები ჩაყრილ იქნას გულდასმით დამუშავებულ, ადრეულ ვადებში მოხნულ ანეულზე, ხოლო თუ ასეთი ანეული არ არის, სათესლეები ჩაყრილ იქნას სათოხნი კულტურების ან ნათესი ბალახების ნაკვეთებზე.

დაწესებულია საშემოდგომო თესვის დაწყებისა და დამთავრების რაიონობრივი კალენდარული ვადები რაიონულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ 5 დღის ვადაში დააწესონ თესვის დიფერენცირებული ვადები ცალკეული კოლმეურნეობებისათვის და ზონებისათვის, ცალკეულ წინამორბედ კულტურათა ნიადაგის მომზადების ვადების მიხედვით, ისეთი ანგარიშით, რომ საშემოდგომო კულტურების თესვა ყოველ კოლმეურნეობაში 8-10 დღეს დამთავრდეს.

დამტკიცებულია გეგმა საშემოდგომო მარცვლეული კულტურების მწკრივად თესვისა 129.630 ჰექტარზე, აქედან ტრაქტორებით უნდა დაითესოს 105.180 ჰექტარი.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს საშემოდგომო თესვის რაიონების რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ცალ-ცალკე თვითეული კოლმეურნეობა თესლით, და არა უგვიანეს 15 სექტემბრისა დაამთავრონ თესლის გაცვლა; მთელი დღე-ღამის მუშაობაზე გადაიყვანონ ყველა მარცვალსაწმენდი მანქანა და დააწესონ თვითეული მანქანისათვის ყოველდღიური დავალებანი; დაუყოვნებლივ შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში თესლის ხარისხი; თესვის დაწყებამდე 10 დღით ადრე დაამთავრონ მუშაობა სათესლე კონდიციებამდე თესლის მისაყვანად, აგრეთვე მთელი სათესლე მასალის შეწამვლა დაწესებულ ვადებში; მტს-ბისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი სატრაქტორო პარკი, აგრეთვე კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა გადაიყვანონ საშემოდგომო ხვნაზე და საშემოდგომო კულტურების თესვაზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხვნის და თესვის ხარისხის სისტემატურად შემოწმებას.

○

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს მწვანე გერანის მოჭრისა და დამზადების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა; 25 აგვისტოსათვის გერანის მოჭრისა და დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 37,9 პროცენტით, ხოლო აგვისტოს გეგმა — 76 პროცენტით.

მწვანე გერანის მოჭრასა და ჩაბარებაში შეუწყნარებლად ჩამორჩებიან: სოხუმის რაიონი, რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა 28,7 პროცენტით, ოჩამჩირის რაიონი — 28,1 პროცენტით, გაგრის რაიონი — 44,9 პროცენტით, ცხაკაიას რაიონი — 30,4 პროცენტით, ბორჩალოს რაიონი — 31,2 პროცენტით და ყვარლის რაიონი — 39,9 პროცენტით. მწვანე გერანის აღებაში ჩამორჩებიან აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა „III ინტერნაციონალი", რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა 42,9 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობა „ტამიში" — 7 პროცენტით და ხორშის საბჭოთა მეურნეობა — 23,7 პროცენტით.

მწვანე გერანის აღებისა და ჩაბარების ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სუსტად მუშაობენ რაიონული ორგანიზაციები, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს გერანის პლანტაციების თავის დროზე და ხარისხობრივად დამუშავება (თოხნა, კულტივაცია, ბუჩქების დამატებით განოყიერება) და რომლებიც უხეშად არღვევენ მწვანე გერანის მოჭრის წესს. სოხუმის, ოჩამჩირისა და გაგრის რაიონების კოლმეურნეობებში პლანტაციები დანაგვიანებულია სარეველათი, ხოლო პლანტაციების არა თავის დროზე აღებამ გამოიწვია გერანის გადაზრდა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ცხაკაიას რაიაღმასკომსა და რაიკომს ხუთი დღის ვადაში განიხილონ მწვანე გერანის აღების, მოჭრისა და ჩაბარების მიმდინარეობის საკითხი და დასახონ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის კონკრეტული ღონისძიებანი.

ამა წლის შემოდგომაზე გერანის დაკალმების გეგმის შესრულების მიზნით, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ გერანის სადედეების მდგომარეობა, ამასთან ყველა კოლმეურნეობაში საერთო ფართობიდან გამოჰყონ ნაკვეთები კალმების მოსაჭრელად. ამ ნაკვეთების თავის დროზე დამუშავების გზით უზრუნველჰყონ გერანის მაღალხარისხოვანი კალმების მიღება.

აღინიშნა, რომ ტრესტ „საქეთერზეთის" ქარხნებში მწვანე მასის გადამუშავებისას ადგილი აქვს ზეთის მნიშვნელოვან დანაკარგს, და წინადადება მიეცა ყველა რაიაღმასკომს და ქარხნების დირექტორებს დაუყოვნებლივ მოსპონ ზეთის დაკარგვის გამომწვევი მიზეზები, კერძოდ, გეგმაზომიერად და ნორმალურად დატვირთონ კუბები მწვანე მასით და მტკიცედ დაიცვან ზეთის გამოხდის ვადები, ამასთან არ დაუშვან მისი აორთქლება როგორც ნედლეულის ესტაკადებზე, ისე გამოსახდელ კუბებში.

○

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, საოლქო კომიტეტს, გერანის რაიონების რაიკომებსა და რაიაღმასკომებს სისტემატურად მოისმინონ საბჭოთა მეურნეობების, ქარხნების დირექტორებისა და რაიმიწგანების გამგეების მოხსენებანი გერანის მოჭრისა და გადამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

○

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს და დაამტკიცეს გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1939 წლის შემოდგომაზე საკვები ბალახების დათესვის 4.865 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის სათესლეებისა 3.230 ჰექტარის რაოდენობით; გეგმა კოლმეურნეობებისათვის ბალახების თესლის მიცემისა—983,3 ცენტნერის რაოდენობით.

○

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თესვის 1939-40 წლის გეგმის უზრუნველსაყოფად დაამტკიცეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი გეგმა 1939 წლის მოსავლიდან კოლმეურნეობებში საკვები კულტურების თესლის ჩაყრისა 51.370 ცენტნერის რაოდენობით, აქედან: ბალახებისა—3.935 ცენტნერის და სამარცვლე პარკოსნებისა — 47.435 ცენტნერის რაოდენობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საკვები კულტურების — საშემოდგომო ცერცველას, ესპარცეტის, იონჯისა და სამყურას სათესლე ფონდების ჩაყრის დამთავრების უკანასკნელ ვადად დააწესეს 1 ოქტომბერი, ხოლო ყველა დანარჩენი კულტურებისათვის — ა/წ. 15 ოქტომბერი. (საქდესი).

ვისწავლოთ ბეჯითად, ვისწავლოთ ფრიადზე!

> „ჩვენს ქვეყანაში კარგად სწავლა, სკოლაში სწავლის ფრიადოსნად ყოფნა — ეს ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც შრომის გმირად ყოფნა ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურის ფრონტზე. ეს ისეთივე სახელოვანი და მამაცური საქმეა, როგორც ის, რომ იყო უშიშარი მფრინავი, რომელიც მაღლა, ღრუბლებს ზევით დანავარდობს და ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის თავზე რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე სწრაფად, ძირსდაუშვებლად დაფრინავს.
>
> ...მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე—ეს არის სწავლა „ფრიადზე". ეს იმას ნიშნავს, რომ გყავდეს 5 მათემატიკაში, 5—გეოგრაფიაში, 5—დედაენაში, 5—ისტორიაში, გყავდეს 5 თვითეულ საგანში".
>
> ლ. პ. ბ ე რ ი ა

ახალი ამოცანების წინაშე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც ატარებს დიდი **სტალინის** საამაყო სახელს, გასული სასწავლო წელი ბრწყინვალედ დაასრულა. ეს დამოკიდებული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმ პირობებზე, რომლებიც არსებობდა გასულ წელს უმაღლესი სკოლების მუშაობისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტის ექვსიათასიანი კოლექტივი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად ენერგიულად ცდილობდა წარმატებით დაესრულებინა სასწავლო წელი. ამ მიზნით ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტთან. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ფრიადოსანთა რიცხვის ზრდა, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმიანად წარმართვა, მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გარდაქმნა — აი მთავარი ამოცანები, რომელთა გადაჭრისადმი მიპყრობილი იყო მთელი ჩვენი ყურადღება.

მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა, განსაზღვრული საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ, ახალ და ახალ ამოცანებს უყენებს უმაღლეს სკოლებს გადასაჭრელად. ახალი სასწავლო წლის უფრო ნორმალურად წარმართვისათვის, წესრიგში მოვიყვანეთ მატერიალური ბაზა. უნივერსიტეტის კორპუსები კაპიტალურად შეკეთდა, რაზედაც ერთ მილიონ მანეთამდე დაიხარჯა, ჩვენი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლობა ბევრ ახალს ნახავს წელს უნივერსიტეტში. მოეწყო მშვენიერი სამკითხველო სტუდენტებისათვის (300 ადგილიანი), ბიოლოგიის ფაკულტეტის კორპუსმა, რომელიც სრულიად უვარგისი იყო, ახალი სახე მიიღო და ახლა ის წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთერთ ლამაზ კორპუსს. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სარემონტო სექტორმა (გამგე ამხ. ბ. მელიქაძე, ინჟ. დ. ორჯონიკიძე) დიდი მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის კორპუსები ასე მშვენიერად მოწყობილიყო ახალი სასწავლო წლისათვის.

დიდი ყურადღება მივაქციეთ ახალი კონტინგენტის მიღებას. არასოდეს უნივერსიტეტში ეს მუშაობა ისე გეგმიანად, ორგანიზებულად არ ჩატარებულა, როგორც წელს. ამის შედეგად მივიღეთ ყველაზე უფრო მომზადებული ახალგაზრდობა, რომელიც, ეჭვი არ არის, წარმატებით იმეცადინებს მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის და შეუპოვრად იბრძოლებს ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

გასულ წელს უნივერსიტეტმა გამოუშვა 30 ასპირანტი. წელს მივიღებთ 80 ასპირანტს. ასპირანტებისათვის უფრო უკეთესი პირობების შექმნა, მათთვის ხელისშეწყობა, რომ დასწერონ დისერტაციები — აი, რა იქნება წელს ჩვენი საზრუნავი საქმე.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წლის ბოლოს არ გვყავდეს არცერთი აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტი. საკვლევო-სამეცნიერო დარგში ყურადღებას მივაქცევთ თვითეული მეცნიერი მუშაკის მიერ სამეცნიერო გეგმის შესრულებას, სამეცნიერო — კვლევითი მუშაობის გეგმის ისე შედგენას, რომ კვლევითი მუშაობა მთლიანად კომუნიზმის მშენებლობის საკითხებს უპასუხებდეს.

მეტად უნდა გაიშალოს მუშაობა სტუდენტთა შორის მეცნიერული მუშაობის დანერგვისათვის. წელს სტუდენტთა 2 სამეცნიერო სესიას ჩავატარებთ და, ვფიქრობთ, მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ სტუდენტების მეცნიერული შრომების გამოცემა.

დიდი მგოსნის აკაკის იუბილე, რომელიც 1940 წელს მოეწყობა, განსაკუთრებულ მოვალეობას **აკისრებს** უნივერსიტეტს, კერძოდ ფილოლოგიურ ფაკულტეტს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყოველგვარი პირობა აქვს საუკეთესოდ დაასრულოს ახალი სასწავლო წელი.

მთელმა კოლექტივმა იცის, რა მოვალეობა გვაკისრია ახალი სასწავლო წლის განმავლობაში და ფართოდ ვუღებთ დღეს აუდიტორიების კარებს 5.000 კაცს, რომ პირველსავე დღიდან მაქსიმალურად ნაყოფიერი იყოს ჩვენი მუშაობა.

დ. ყიფშიძე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მოსწავლეები ათვალიერებენ ახალ სახელმძღვანელოებს.

საქდესის ფოტოქრონიკა

ბოლომდე ფრიადოსნები ვიქნებით

დღეს, ვიწყებთ რა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლას მეცნიერების ღრმად დაუფლებისათვის, ერთი წუთითაც არ შევანელებთ ყურადღებას აკადემიური დონის ამაღლებისათვის, მოწინავე მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისათვის; „იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით" (სტალინი).

მთელი მსოფლიოს მოწინავე პროგრესული კაცობრიობის დიდი გენიის ამხანაგი **სტალინის** შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, „რომ მომავალი ეკუთვნის მეცნიერ ახალგაზრდობას", ჩვენ ახალ ენერგიას და ძალას გვმატებს იმისათვის, რომ გავხდეთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დედა-სამშობლოს, ჩვენი უძლეველი სოციალისტური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საშუალო სკოლაში, სადაც ჩვენ ათი წლის განმავლობაში ვსწავლობდით, თავიდანვე ბეჯით და ფრიადოსან მოწაფეებად ვითვლებოდით. ვეცდებით თვით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე ვიყოთ ფრიადოსნები, რადგანაც აქეთკენ მოგვიწოდებს ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლ. პ. ბერია.**

არსად, არცერთ ქვეყანაში მოსწავლე ახალგაზრდობა არ არის გარემოსილი ისეთი მზრუნველობითა და სიყვარულით, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. ყოველივე ეს ჩვენ გვავალებს ვიყოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალულნი, ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისადმი** უსაზღვროდ ერთგულნი.

ცოდნა, სწავლა-განათლება, მეცნიერების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა დაუშრეტელი წყაროა თვითეული ადამიანისათვის. ამიტომ ჩვენ დღეიდანვე გულმოდგინედ დავიწყებთ მეცნიერების დაუფლებას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბოლომდე სწავლების ფრიადოსნები ვიქნებით.

გ. ბურდული
ე. ჯაფარიძე
კ. კარაპეტიანი
შ. ცხვარიაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩარიცხული ფრიადოსნები.

სკოლა მზად არის სწავლის დაწყებისათვის

თბილისის სტალინის სახელობის პირველმა საშუალო სკოლამ 1938/39 სასწავლო წელი წარჩინებულად დაამთავრა. სკოლაში მტკიცედ დაინერგა მასწავლებელთა შორის კოლექტიური მუშაობისა და ურთიერთ დახმარების და გამოცდილების გაზიარება, ფართოდ გაიშალა მეთოდური მუშაობა. შემოღებულ იქნა ღია გაკვეთილები, ფართოდ გაიშალა სასწავლო-აღმზრდელობითი პოლიტიკური მუშაობა. სწორედ ამის შედეგად ორწლიანობის ლიკვიდაცია გადაიქცა როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა საბრძოლო ამოცანად. ამიტომ იყო, რომ ჩვენი სკოლა ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ჩადგა თბილისის მოწინავე სკოლათა რიგებში. გაიზარდა ფრიადოსანთა და კარგოსანთა რიცხვი.

ასეთი იყო მიღწევები სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლისა 1938/39 სასწავლო წლის დასასრულს. ამ მიღწევების შენარჩუნებისა და კიდევ უფრო განმტკიცების საფუძველზე 1939/40 სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის ჩვენმა სკოლამ ჯერ კიდევ 15 ივნისს შეადგინა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იყო ყველა ობიექტები, სამუშაოს დეტალები. ამ გეგმის მიხედვით სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი დასრულდა პირველ აგვისტომდე, გაკეთდა ელექტრომოწყობილობა, წყალსადენი, შეკეთდა კარ-ფანჯრები და გაუკეთდა გასაღებები, ამას გარდა შეკეთებულ იქნა 346 პარტა და 18 ცალი დაფა.

შეივსო სასწავლო ხელსაწყოებით ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის და გეოგრაფიის კაბინეტები 4000 მან. ნივთებით. შეძენილი იქნა 100 ვენური სკამი, ბიბლიოთეკისათვის 2000 მანეთის წიგნები.

ორი თვის დასვენებული მასწავლებლები ახალი დაუშრეტელი ენერგიით შეუდგებიან მუშაობას და იმ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრას, რომელსაც ეწოდება მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდა.

შ. დავითაია

თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი.

წელს საშუალო სკოლებში [illegible] სახელმძღვანელოების [illegible] მოსწავლეებს შორის. სურათზე: თბილისის მე-109 სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები ათვალიერებენ ახალ სახელმძღვანელოებს. ფოტო რ. [illegible]

ახალი სასწავლო წლის საბრძოლო ამოცანები

გ. კიკნაძე

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

საზაფხულო გამაჯანსაღებელი დასვენების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობა დაუბრუნდა საბჭოთა სკოლას. დღეს დაიწყება ახალი სასწავლო წელი, რომლის მართებულად წარმართვამ დადებითად უნდა გადასჭრას ის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები, რომელიც დააყენა ჩვენს წინაშე ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, პროგრესული კაცობრიობის ბელადმა და მზრუნველმა მამამ დიდმა **სტალინმა.**

როგორც ყოველთვის, ისე წელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა კონკრეტულ ხელმძღვანელობას გვიწევდნენ, უშუალოდ გვეხმარებოდნენ ჩვენს წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რის შედეგადაც გასულ წელს ჩვენ საგრძნობი წარმატებები მოვიპოვეთ სასწავლო პროგრამების შესრულების, მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების გაზიარების, სწავლების აქტიურ მეთოდთა დანერგვის, სწავლებაში თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენების, მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ზრდისა და საერთოდ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. აი რამდენიმე ფაქტი. გასული წლის თვითეული მეოთხედი იძლევა ზრდას შედარებით წინა მეოთხედთან. გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი. 14 რაიონის მასალების მიხედვით საგაზაფხულო გამოცდები გაიარა 133.207 მოსწავლემ, ამათგან 23.865 მოსწავლე ფრიადოსანია. წინაწლებთან შედარებით ეს დიდი მიღწევაა.

გასული წლის მიღწევებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი: საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა სხვა მოძმე რესპუბლიკების მასწავლებლებთან ერთად საქართველოს სოფლის 126 საუკეთესო მასწავლებელი დააჯილდოვა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისა და სოფლად ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამასთან ერთად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის 84 საუკეთესო მასწავლებელს დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება მიენიჭა. ამ ორმა ფაქტმა მასწავლებლობაში უჩვეულო აღფრთოვანება გამოიწვია.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად გასულ წელს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი.

ბევრგან სუსტად იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგან მასწავლებლები გაკვეთილებზე მოუმზადებლად ცხადდებოდნენ, ზოგიერთ სკოლას სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გეგმაც კი არ გააჩნდა, ზოგიერთი მასწავლებელი არ ზრუნავდა თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ წერის კულტურას. არ სწორდებოდა წერითი შრომები, გაკვეთილში არ შეჰქონდათ თვალსაჩინოება და არ იყენებდნენ დიდაქტიკურ მასალას. ისეთი საგნები, როგორიც არის ფიზიკა, ქიმია და ბუნებისმეტყველება, ზოგჯერ ისწავლებოდა ყოველგვარი ცდების გარეშე. მთელ რიგ სკოლებში ადგილი ჰქონდა თვალისახვევის ფაქტებს, ლიბერალიზმსა და გადამეტებულ გულუხვობას მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას.

ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ დაწყებისათვის საქართველოს სსრ განსახკომი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვლიდან შეუდგა მზადებას. დროზე აღვრიცხეთ სკოლის ასაკის ბავშვები და განთესილი მოსწავლეები, დროულად შევადგინეთ რესპუბლიკის სასკოლო ქსელისა და კონტინგენტის გეგმა 1939-40 სასწავლო წლისათვის. ახლად იხსნება: 168 მერვე, 232 მეხუთე და 373 პირველი კლასები, 101 დაწყებითი, 178 არასრული საშუალო და 141 საშუალო სკოლა. ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების უზრუნველყოფას კვალიფიციური პედაგოგებით.

წელს სკოლებში განაწილებულია უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებული 3.600-მდე ახალი მასწავლებელი.

ამ ზაფხულზე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მოეწყო მასწავლებელთა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები. ამ კურსებზე გადამზადდა 3.500 მასწავლებელი, მათ შორის რუსული ენის 1000-ზე მეტი მასწავლებელი.

ქაღალდის ფონდის დროულად მიუღებლობის გამო ქართული სკოლების სახელმძღვანელოები დღემდე გამოსულია მხოლოდ 43 სახელწოდება.

წელს სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად სკოლები მიიღებენ 1.340.100 მანეთის ლიტერატურას. კაბინეტების შეძენაზე გაფორმებულია ხელშეკრულებანი რაიონებთან სულ 1.300.000 მანეთის რაოდენობით. ამ კაბინეტების ნაწილი უკვე გადაეგზავნა ადგილებს, ნაწილს უახლოეს ხანებში მიიღებენ.

ახალ სასწავლო წელს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანებიდან მთავარია ის, რომ უნდა მივაღწიოთ მოსწავლეთა განთესვის სრულ ლიკვიდაციას, ამასთან ერთად სკოლებში უნდა ჩავაბათ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი. უამისოდ საყოველთაოსავალდებულო სწავლების გატარებას სრულად და დამაკმაყოფილებლად ჩვენ ვერ შევძლებთ. მთელი სასკოლო ასაკის ბავშვების სრულად ჩაბმა სკოლებში და განთესვის ლიკვიდაცია მარტო სახალხო განათლების მუშაკებს არ შეუძლიათ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ფართოდ უნდა იქნეს დარაზმული მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. განსაკუთრებული დახმარება ამ მხრით განათლების ორგანოებს შეუძლიათ გაუწიონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

დიდი მნიშვნელობის ამოცანაა მეორეწლიანობის ლიკვიდაცია. მეორეწლიან მოსწავლეთა სწავლებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად უამრავ თანხებს ხარჯავს. მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენ სუსტად ვმუშაობდით მეორეწლიან მოსწავლეებთან, ვერ ვუწევდით მათ ინდივიდუალურ დახმარებას და ხელმძღვანელობას, შესაფერისად ვერ ვახდენდით მეორეწლიან მოსწავლეთა მშობლების მობილიზებას. გასულ სასწავლო წელს ამ მხრივ ჩვენ გარკვეული მიღწევები მოვიპოვეთ წინაწლებთან შედარებით, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. ამ წლის განმავლობაში ჩვენმა მასწავლებლებმა მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა.

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფის, საქართველოს საუკეთესო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად დიდი რუსი ხალხის ენის, რუსული ენის სწავლების საქმეში დიდი მიღწევები მოვიპოვეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქ. სსრ სახალხო განათლების ფრონტის მრავალათასიანი არმია ერთიანი ძალით უნდა დაირაზმოს, რათა რუსული ენის სწავლება, რომელსაც ჩვენთვის უაღრესად დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს, ამ სასწავლო წელს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნეს აყვანილი.

ჩვენი საშუალო სკოლების ქსელის ზრდასთან დაკავშირებით საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ვ. მოლოტოვმა განათლების კომისარიატების წინაშე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა დასახა. საშუალო სკოლადამთავრებულ მოსწავლეს უნდა გააჩნდეს ჩვენი მეურნეობის ძირითად დარგებში პრაქტიკულად მუშაობის უნარი. ამ ამოცანის განხორციელებას ჩვენ ამ თავითვე უნდა მოვკიდოთ ხელი. ზოგი რამ ამ მიმართულებით ახლავე უნდა გავაკეთოთ. ისეთი სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა, როგორიც არის ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, პროგრამით გათვალისწინებული კურსის შესწავლა მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ პრაქტიკულ მუშაობას. უნდა მოაწყონ ლაბორატორიული მუშაობა, დააყენონ ცდები, ექსკურსიების საშუალებით მოსწავლეებს გააცნონ წარმოებათა პროცესები.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენ ენერგიულად უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რომ მივაღწიოთ სწავლების მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას, გაკვეთილების გეგმიანად და ორგანიზებულად ჩატარებას, სწავლების შემდგომი გათვალსაჩინოებას. უამისოდ მეცნიერებათა სწავლების ხარისხის ამაღლება შეუძლებელია. ეს ავალებს მასწავლებელს საფუძვლიანად იმუშაოს თავისთავზე, შეისწავლოს მოწინავეთა გამოცდილება, მეტი იკითხოს, გაკვეთილისათვის საფუძვლიანად ემზადოს, ფართოდ გამოიყენოს თვალსაჩინო ხელსაწყოები და მასალები, ინდივიდუალურად მიუდგეს თვითეულ მოსწავლეს.

სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების საქმის არსებითად გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია. საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, ადგილობრივი განათლების განყოფილებანი, პედაგოგიური კაბინეტები და სკოლის დირექტორები უფრო ახლოს უნდა მივიდნენ მასწავლებელთან. მასწავლებლობას საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში უფრო მეტი დახმარება უნდა გაეწიოს, მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა არსებითად უნდა გარდაიქმნას.

კომუნისტური აღზრდის საქმეში ზოგ სკოლაში დღემდე არსებული დამახინჯებანი, რაც ზოგიერთ მოსწავლეთა უდისციპლინობაში გამოიხატება, ამ წლიდან აუცილებლად უნდა იქნას აღკვეთილი. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჩვენი მასწავლებლობა დღეიდან ახალი ენერგიით შეუდგება საქართველოს სსრ 750.000 მოსწავლის აღზრდას. წელს ჩვენს სკოლას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რათა უკეთ იმუშაოს, რათა მთლიანად გავამართლოთ ჩვენი დიადი პარტიის, დიდი **სტალინის** ნდობა. ჩვენც ერთიანი ძალებით, გაათკეცებული ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენზე დაკისრებული ამოცანები საუკეთესოდ განვახორციელოთ.

საყოველთაო მობილიზაცია პოლონეთში

ვარშავა, 30 აგვისტო (საქდესი). დღეს გამოქვეყნებულია ცნობა, რომ პოლონეთში 31 აგვისტოს ჩატარდება საყოველთაო მობილიზაცია. მობილიზაცია ეხება 40 წლამდე ასაკის მამაკაცებს.

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

ვარშავა, 30 აგვისტო (საქდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 25 აგვისტოს გერმანიის პოლიცია შეიჭრა პოლონეთის საკონსულოს შენობაში ქალაქ მარიენვერდერში (აღმოსავლეთი პრუსია), რის შემდეგ პოლონეთის კონსული სამი დღის განმავლობაში დაპატიმრებული იყო საშინაო წესით. 29 აგვისტოს პოლონეთის კონსული საპოლიციო ავტომობილით გადაიყვანეს პოლონეთის გენერალურ საკონსულოში — კენიგსბერგში. სააგენტო აღნიშნავს, რომ გერმანიის ლვოველი და ტეშინელი კონსულები პოლონეთის პოლიციის მიერ გადაყვანილი იქნებიან გერმანიის ვარშავის საელჩოში.

საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის დახურვა

ბერლინი, 30 აგვისტო (საქდესი). პარიზიდან იუწყებიან, რომ დაიხურა გერმანია-საფრანგეთის საზღვარი, რომელიც რეინზე გადის. უკანასკნელმა მატარებელმა საზღვარზე 28 აგვისტოს დილით გაიარა.

საომარი მზადება შვეიცარიაში

პარიზი, 30 აგვისტო (საქდესი). გუშინ დილიდან შვეიცარიის სანაპირო დაცვის ჯარი მოვიდა საზღვარზე, წინასწარ დანიშნულ პუნქტებში. 29 აგვისტოსათვის მობილიზებულია 100 ათასამდე კაცი. დღეს შეიკრიბება საკავშირო კრება მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მისაცემად და საკავშირო არმიის სარდლის დასანიშნავად.

მოსავლის კონფისკაცია გერმანიაში

ლონდონი, 29 აგვისტო (საქდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ კონფისკაცია უყო ამ წლის მთელ მოსავალს.

ბულგარელები ინგლისიდან მიდიან

ლონდონი, 29 აგვისტო (საქდესი). ინგლისში მცხოვრებ ბულგარელ მოქალაქეებს წინადადება მიეცათ სამშობლოში დაბრუნდნენ.

სამგზავრო მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა პოლონეთსა და გერმანიას შორის

ვარშავა, 29 აგვისტო (საქდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ორი სამგზავრო მატარებელი, რომლებიც რეგულარულად მოძრაობდნენ პოლონეთსა და გერმანიას შორის, ამ დღეებში დაკავებულ იქნა გერმანიაში. როგორც გაზეთი „დობრი ვეჩურ" იუწყება, პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე პოზნანის სავოევოდოს გასწვრივ, გერმანიის ხელისუფლებამ 8 საზღვრისპირა გასავალი დახურა და აქ მავთულის ხლართები ააგო.

შესწყდა სატელეფონო კავშირი ლონდონს, პარიზსა და რომს შორის

რომი, 30 აგვისტო (საქდესი). იტალიის დეპეშათა სააგენტო სტეფანი, ემყარება რა რეიტერის სააგენტოს, იუწყება, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი. სტეფანის სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ სატელეფონო და საფოსტო კავშირი შეწყვეტილია ინგლისსა და იტალიას შორისაც.

ლათინური ამერიკა და მდგომარეობა ევროპაში

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საქდესი). კოლუმბიაში სახელმწიფო ბანკმა შეაჩერა გერმანული მარკის ოპერაციები. ურუგვაის სახელმწიფო ბანკმა შეაჩერა უცხოეთის ვალუტის შეფასება.

სკანდინავიის ქვეყნების მთავრობათა ღონისძიებანი

სტოკჰოლმი, 31 აგვისტო (საქდესი). შვეციის, ნორვეგიისა და დანიის მთავრობებმა მთელი რიგი სამხედრო ღონისძიებანი გაატარეს. შვეციაში გაწვეულია ორი ასაკის სამხედრო ვალდებულთა ზოგიერთი კატეგორია სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და სანაპირო არტილერიაში სამსახურისათვის და გაგზავნილია კარლსკრონასა და გეტებორგში.

ნორვეგიამ მოახდინა ნაწილობრივი გაწვევა სანაპირო დამცველ ჯარში სამსახურისათვის, ხოლო დანიამ — საჰაერო თავდაცვის ჯარში სამსახურისათვის. სამივე ქვეყანამ აკრძალა მთელი რიგი საქონლის ექსპორტი.

მოკლე ცნობები

(საქდესის მასალების მიხედვით)

- სტამბოლის ნავსადგურიდან გერმანიაში გაბრუნდა გერმანიის ყველა გემი ისე, რომ სტამბოლში არ გადაუტვირთავთ ჩატანილი საქონელი.
- პოლონეთის პრესა იუწყება, რომ პოლონეთიდან გაემგზავრა გერმანიის გაზეთების ყველა კორესპონდენტი.
- ინგლისში ომის შემთხვევისათვის დამზადებულია 80 მილიონი სასურსათო ბარათი და მოწყობილია 1.500 სასურსათო კომიტეტი.

იაპონიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ტოკიო, 30 აგვისტო (საქდესი). დღეს გენერალმა აბე ნობუიუკიმ საბოლოოდ შეადგინა ახალი კაბინეტი. იმპერატორმა დაამტკიცა კაბინეტის შემადგენლობა.

ახალ კაბინეტში შემდეგი პირები შედიან:

პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალი აბე ნობუიუკი.

შინაგან საქმეთა მინისტრი, იგივე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ოხარა ნაოსი (ზედა პალატის წევრი, 1935-36 წელს ოკადას კაბინეტში იუსტიციის მინისტრად იყო).

ფინანსთა მინისტრი — აოკი კაძუო (დიდხანს იყო ფინანსთა სამინისტროს თვალსაჩინო მოხელე, უკანასკნელ ხანს სათავეში ედგა კაბინეტთან არსებულ საგეგმო ბიუროს). შეთავსებით სათავეში უდგას კაბინეტთან არსებულ საგეგმო ბიუროს.

სამხედრო მინისტრი გენერალი ხცტა სიუნროკუ (უკანასკნელ დრომდე იმპერატორის მთავარი ადიუტანტი იყო. წინათ ეკავა საჰაერო ძალთა შტაბის უფროსის, სამხედრო სწავლის გენერალური ინსპექტორის და ფორმოზის ჯარის სარდლის პოსტები. 1938 წელს იაპონიის ჯარს სარდლობდა ჩინეთის ცენტრალურ ფრონტზე).

საზღვაო მინისტრი — ვიცე-ადმირალი იოსიდა ძენგო (უკანასკნელ დრომდე სარდლობდა იაპონიის ფლოტის შეერთებულ ესკადრას).

იუსტიციის მინისტრი — მიაგი ციოგორო (ქალაქ ნაგოის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მთავარი პროკურორი).

განათლების მინისტრი — კავარადა კაკიცი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ ხაიასის კაბინეტში 1937 წელს).

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, იგივე მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი — გადამდგარი ვიცე-ადმირალი გოდო ტოკუო (სრულიად იაპონიისა და ტოკიოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების თავმჯდომარე, ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრი გენერალ ხაიასის კაბინეტში 1937 წელს, სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის ყოფილი დირექტორი და „სიოვას" ფოლადსამხმელო ქარხნების კომპანიის პრეზიდენტი მანჯურიაში).

კავშირგაბმულობის მინისტრი, იგივე რკინიგზის მინისტრი — ნაგაი რიუტარო (მინსეიტოს პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი, კოლონიების ყოფილი მინისტრი საიტოს კაბინეტში 1932-34 წელს).

კოლონიების მინისტრი — კანიმიცუ ცუნეო (სეიიუკაის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე).

კაბინეტის მთავარი მდივანი — ენდო რიუძაკი.

კაბინეტის საკანონმდებლო ბიუროს უფროსი — კარაძავა ტოსიტაცუ.

ერთი მინისტრის ხელში რამდენიმე პორტფელის თავის მოყრა დროებით ღონისძიებად მიაჩნიათ. შემდეგ კი საგარეო საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა, რკინიგზისა და მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრების პოსტებზე სათანადო პირები დაინიშნებიან.

ჰიტლერის პასუხი ინგლისის წერილზე

ბერლინი, 30 აგვისტო (საქდესი). გუშინ საღამოს ჰიტლერმა რიბენტროპის თანდასწრებით მიიღო ინგლისის ბერლინელი ელჩი ჰენდერსონი. ამასთან ინგლისის ელჩს გადაეცა ჰიტლერის პასუხი ინგლისის მთავრობის უკანასკნელ წერილზე.

ინგლისის ელჩის მიღების შემდეგ ჰიტლერმა მიიღო იტალიის ბერლინელი ელჩი ატოლიკო.

სამობილიზაციო ღონისძიებანი იტალიაში

რომი, 30 აგვისტო (საქდესი). იტალიის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ათავსებს ხელისუფალთა განცხადებას, რომელიც მოუწოდებს დიდ ქალაქში მცხოვრებ ოჯახთა მამებს პროვინციასა და პატარა ქალაქებში გაჰგზავნონ თავიანთი ცოლ-შვილი.

გამოქვეყნდა დადგენილება, რომლის მიხედვითაც 3 სექტემბრიდან, ბენზინის ეკონომიის მიზნით, სწყდება კერძო ავტომობილების ყოველგვარი მოძრაობა.

ყველა რესტორანს წინადადება მიეცა თითო მომსვლელს მხოლოდ ერთი კერძი ხორცი ან თევზი მისცენ.

გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელიც კერძო თვითმფრინავებს უკრძალავს იტალიის ტერიტორიაზე ფრენას.

თემთა პალატის სხდომა

ლონდონი, 29 აგვისტო (საქდესი). პარლამენტის სხდომა ხანგრძლივი არ იყო. თავიდანვე იცოდნენ, რომ ბრიტანეთის ნოტაზე ჰიტლერის პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიღებული და ამიტომ პრემიერი მოლაპარაკების შინაარსის გამოქვეყნებას არ აპირებს.

ის დაკმაყოფილდა იმის განმეორებით, რომ ინგლისის მთავრობა, რჩება რა პოლონეთთან დადებული ხელშეკრულების ერთგული, შეეცდება მიაღწიოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტას. ჩემბერლენმა თავის გამოსვლაში უმთავრესად და დაწვრილებით ილაპარაკა იმ თავდაცვით ღონისძიებებზე, რომელიც ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო.

პრემიერის წინადადებით პარლამენტის შემდეგი სხდომა შესდგება 5 სექტემბერს.

დღეს ლორდთა პალატაში ჰალიფაქსმა ჩემბერლენის მიერ თემთა პალატაში გაკეთებული განცხადების ანალოგიური განცხადება გააკეთა.

პოლონეთის პროტესტი სლოვაკიას

ვარშავა, 30 აგვისტო (საქდესი). პოლონეთის მთელი პრესა კომენტარიებს უკეთებს ტისოს მთავრობის მოწოდებას სლოვაკიის მოსახლეობისადმი „გერმანიის ჩამოსულ ჯართან ითანამშრომლოს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში". პოლონეთის მთავრობის კომუნიკეში ამის თაობაზე აღნიშნულია, რომ მომენტი, რომელიც სლოვაკიამ შეარჩია, რათა პოლონეთი თავის მტრად გამოეცხადებინა, იმას მოწმობს, რომ მესამე სახელმწიფოს გავლენით სლოვაკიის მთავრობა თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი აღარ არის.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის მთავრობამ სასტიკი პროტესტი განუცხადა სლოვაკიის ვარშაველ ელჩს სლოვაკიის მთავრობის მოწოდებისა და სლოვაკიაში წარმოებული ანტიპოლონური კამპანიის გამო.

საომარი სამზადისი გერმანიაში

ლონდონი, 30 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის" ბრატისლაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელებს სლოვაკიაში გაძლიერებული სამზადისი აქვთ ომისათვის. კორესპონდენტის სიტყვით, 28 აგვისტოს ღამით სლოვაკიაში ჩავიდა 80.000 გერმანელი ჯარისკაცი — ნაწილი ავსტრიიდან, ნაწილი ჩეხიიდან და მორავიიდან. გერმანიის ჯარის ახალი რაზმები კვლავ ჩადიან სლოვაკიაში. ენგერაუში (მდინარე დუნაიზე) ჩავიდა გერმანიის 3 მონიტორი და 3 დიდი ნავთსასხმელი ტანკერი. მათ ჩაიტანეს საწვავი მასალა მოტომექანიზებული ნაწილებისა და თვითმფრინავებისათვის.

ნაწილობრივი მობილიზაცია დანიაში

რომი, 30 აგვისტო (საქდესი). სტეფანის სააგენტო კოპენჰაგენიდან იუწყება, რომ დანიის მთავრობამ გამოაცხადა სამი ასაკის რეზერვისტთა მობილიზაცია.

საომარი მზადება ვარშავაში

პარიზი, 31 აგვისტო (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, რეზერვისტების გაწვევის შედეგად ვარშავაში კომუნალური ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის ნაკლებობაა. დღეიდან შემცირებულია მიმომსვლელი ავტობუსებისა და ტრამვაების რაოდენობა. გაზეთები მოუწოდებენ მოსახლეობას — რაც შეიძლება ნაკლებად მიმართონ ტელეფონით ლაპარაკს. ფიქრობენ, რომ მალე ძალაში შევა კანონი, რომელიც მთავრობას ნებას მისცემს მოახდინოს 17 — 60 წლის ასაკის ყველა მოქალაქის მობილიზაცია ნაციონალური თავდაცვისათვის საზოგადოებრივ სამუშაოთა საწარმოებლად.

სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის აკრძალვა ჰოლანდიაში

ლონდონი, 31 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მთელს ჰოლანდიაში ხვალისა და ზეგისათვის შეწყვეტილია ყველა სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა. რკინიგზები დაკავებულია მხოლოდდამხოლოდ ჯარის გადასაყვანად და საომარი საჭურველის გადასატანად.

გერმანიაში შეიქმნა „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭო"

ბერლინი, 31 აგვისტო (საქდესი). დღეს გამოქვეყნდა ჰიტლერის 30 აგვისტოს დეკრეტი „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს" შექმნის შესახებ. „საბჭოში" მუდმივ წევრებად შედიან: გერინგი (თავმჯდომარე), გესი, ფრიკი, ფუნკი, ჰიტლერის კანცელარიის უფროსი—მინისტრი ლამერსი და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელი უეიტელი. „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს" მინიჭებული აქვს უფლება გამოსცეს განკარგულებანი, რომლებსაც კანონის ძალა ექნებათ.

დიდი რევოლუციონერი მწერალი

(ა. ნ. რადიშჩევის დაბადების 190 წლისთავისათვის)

1790 წელს, პუგაჩოვთან მეფის თვითმპყრობელობის მხეცურად გასწორების თხუთმეტი წლის შემდეგ და საფრანგეთის რევოლუციური ხალხის მიერ მეფე ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილით დასჯის სამი წლის შემდეგ, რუსეთში გამოვიდა წიგნი, რომელიც გახდა ჩვენს ლიტერატურაში რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური გრძნობის მამამთავარი,—ა. ნ. რადიშჩევის შესანიშნავი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში".

რადიშჩევმა თავისი წიგნი დაბეჭდა მის მიერ სპეციალურად სახლში მოწყობილ სტამბაში. ცენზორმა, რომელიც შეცდომაში შეიყვანა წიგნის სათაურმა, თითქმის წაუკითხავად მოაწერა ხელი მისი დაბეჭდვის ნებართვას. ამავე დროს კი ამ უწყინარი გეოგრაფიული სათაურის ქვეშ იმალებოდა უდიდესი დამარღვეველი ძალის ნაწარმოები, რომელიც ლახვარს სცემდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების ძირითად საფუძვლებს.

ეკატერინე II-მ, რომელმაც, მისი საკუთარი სიტყვით, „გამოწვლილვით" წაიკითხა რადიშჩევის წიგნი, აჭრელა იგი აღშფოთებული და ბოროტი შენიშვნებით. „პუგაჩოვზე უარესი მეამბოხეა!"—შეძრწუნებული ამბობდა იგი ავტორის შესახებ.



„მოგზაურობა" დაბეჭდილი იყო ავტორის სახელის აღუნიშნავად, მაგრამ ეჭვი თავიდანვე რადიშჩევზე მიიტანეს. პატარა პეტერბურგელი მოხელე, სამსახურებრივ კიბეზე საკმაოდ დაბლა მდგომი რადიშჩევი მაინც ძალიან მკაფიო და შესამჩნევი ფიგურა იყო. იგი განსაკუთრებული ცოდნით აღჭურვილი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში რადიშჩევი ახალგაზრდათა ჯგუფთან ერთად გაიგზავნა უცხოეთში, ლეიპციგში, იურიდიულ მეცნიერებათა შესასწავლად. ახალგაზრდები ლეიპციგში სწავლობდნენ არა მარტო იურისპრუდენციას, არამედ ფრანგ მატერიალისტებსაც კითხულობდნენ. ოცდაორი წლის რადიშჩევი რუსეთში დაბრუნდა სავსებით მომწიფებულ მოაზროვნედ, ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალადობის მტკიცე მოწინააღმდეგედ და ამასთან ერთად მგზნებარე პატრიოტად, რომელიც მზად იყო სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რადიშჩევმა იმ დროის ყველაზე გაბედულ და მოწინავე სატირულ ჟურნალში — ნოვიკოვის „ჟივოპისეცში" გამოაქვეყნა ნაწყვეტი რუსეთში „მოგზაურობისა", რომელშიც მოგვცა გლეხთა მონობის, ბატონყმური ექსპლოატაციის, მემამულეთა ველური თვითნებობის განსაკუთრებით მკაფიო სურათები.

„მოგზაურობა" თითქმის ორი ათეული წლის ნააზრევის ნაყოფი იყო. მის ცალკეულ ნაწილებს რადიშჩევი სწერდა ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან. წიგნის საბოლოოდ დაწერას უშუალოდ მისცა ბიძგი ეკატერინე II-ის მოგზაურობამ სამხრეთ-რუსეთისაკენ 1787 წელს. „მისი უდიდებულესობის" მოგზაურობა კაზიონურმა მქებნელებმა გამოიყენეს აღფრთოვანებულ ცნობათა გამოსაქვეყნებლად „განათლებული მონარქის სკიპტრის" ქვეშ რუსეთის ხალხების არაჩვეულებრივი „კეთილდღეობისა" და „აყვავების" შესახებ.

ამის საპასუხოდ რადიშჩევი სწერს თავის „მოგზაურობას", რომელშიც, მნიშვნელოვანი ოდენობით იმეორებს რა მეფის მარშრუტს, გვიჩვენებს ნამდვილ, შეულამაზებელი ბატონყმური სინამდვილის პანორამას. „მიმოვიხედე ჩემს გარშემო და კაცობრიობის ტანჯვამ სული დამიწყლულა", — სწერს რადიშჩევი თავისი წიგნის დასაწყისშივე. მაგრამ რადიშჩევი არა მარტო სწუხს და აღშფოთებულია. რადიშჩევის „მოგზაურობაში" ჩვენს ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა „შურისძიებისა და მწუხარების მუზა", რომელსაც შემდეგში თავის მთავარ შთამგონებლად აღიარებდა ნეკრასოვი.

ეწეოდა რა თავის წიგნში მგზნებარე აგიტაციას ბატონყმობისაგან გლეხების განთავისუფლებისათვის, რადიშჩევი იმედს ამყარებდა არა მემამულეთა კეთილ სურვილზე, არა მთავრობის რეფორმაზე, არამედ გლეხთა აჯანყებებზე — სახალხო რევოლუციაზე. მისი წიგნის ზოგიერთი ფურცელი დაწერილია პროკლამაციების ენით, რომლებიც აჯანყებისაკენ მოუწოდებენ. თავის გლეხებთან ერთი მემამულის მხეცური მოპყრობის, მათი დაუზოგავი ექსპლოატაციის ამბავს რადიშჩევი ამთავრებს შემდეგი მჭევრმეტყველური სიტყვებით: „გაალამტვრიეთ მისი სამიწათმოქმედო იარაღები, გადასწვით მისი კარაპნები, საცეხველები, ბეღლები და გაჰფანტეთ ფერფლი ყანებში,—იგი ხომ იქ სტანჯავდა ხალხს".

რადიშჩევი არ კმაყოფილდება ბატონყმობის წინააღმდეგ მრისხანე ქადაგებით. მას ესმის, რომ ბატონყმობა მთელი თვითმპყრობელური წყობილების ორგანიული ნაწილია, და ამიტომ ისეთივე ძალით, როგორითაც ილაშქრებს მონობის წინააღმდეგ, ილაშქრებს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგაც.

ხალხისადმი მგზნებარე სიყვარულით გამსჭვალულია რადიშჩევის მთელი წიგნი. რადიშჩევი თავის „მოგზაურობაში" პირველად იძლევა გლეხების, ხალხიდან გამოსული ადამიანების ნამდვილ, მართალ სახეებს.

რადიშჩევს არავითარი ილუზიები არ ჰქონია იმ „პატივის" შესახებ, რომელიც მას მოელოდა: „მეფის ყოველი მგმობელი,—შენიშნავდა იგი,—იმ მიწის მწირია, სადაც ყველაფერი ძრწის მის წინაშე".

ეკატერინე II-ემაც გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, რომ შეეძრწუნებინა თავხედი „მთხზველი". რადიშჩევი შეიპყრეს და გადასცეს საიდუმლო კანცელარიის ერთერთ ყველაზე საშინელ მოხელეს—„გამმათრახებელ" შეშკოვსკის. სასამართლომ რადიშჩევს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც შემდეგში შეუცვალეს 10 წლის გადასახლებით ციმბირის ერთერთ ყველაზე მიყრუებულ ადგილას.

მაგრამ ციმბირში ყოფნამაც, საიდანაც იგი დააბრუნეს ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ, ვერ მოდრიკა მისი სული. რუსეთში დაბრუნებისას რადიშჩევმა წარმატებით განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ დროს მან დასწერა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები ლექსად.

ალექსანდრე I-ის დროს რადიშჩევი მიიწვიეს კანონების შემდგენელ კომისიაში სამუშაოდ. იგი გამოვიდა მთელი რიგი წინადადებით თავის წინანდელ შეხედულებათა შესაბამისად, რომლებიც გამოთქმული იყო „მოგზაურობაში". რადიშჩევს კვლავ დაემუქრნენ ციმბირით. მან ეს ვერ გადაიტანა და თავი მოიწამლა.

ვერ ხედავდა რა გამოსავალს აწმყოში, რადიშჩევმა თავისი „მოგზაურობა" მომავალს უანდერძა: „ეს არ არის ოცნება; არამედ თვალი განსჭვრეტს დროის სქელ საბურველს, რომელიც ჩვენგან ჰფარავს მომავალს. მე ვჭვრეტ მთელი საუკუნის იქით". და, მიუხედავად ცენზურისა და პოლიციის მიერ შექმნილი ყველა დაბრკოლებისა, რადიშჩევის ხმა გაიგონეს თანამედროვეებმაც და შთამომავლობამაც. რადიშჩევის წიგნი, რომელიც მოსპო ეკატერინეს მთავრობამ, გამოჩნდა რუსეთში მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, მაგრამ „მოგზაურობა" მრავლად ვრცელდებოდა ხელნაწერებად.

რუსი ხალხი ამაყობს იმით, რომ მონობისა და ჩაგვრის შავბნელ დროში მან თავისი წრიდან წარმოშვა ისეთი გაბედული, გმირი მებრძოლი, როგორიც იყო რადიშჩევი. „ჩვენთვის ყველაზე მეტად მტკივნეულია იმის დანახვა და გრძნობა, რა ძალადობას, ჩაგვრას და დაცინვას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათებისა, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრით", — სწერდა ლენინი 1914 წელს. „ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას იწვევდა ჩვენს წრეში, ველიკოროსების წრეში, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, რევოლუციონერი-რაზნოჩინცები 70-იან წლებში, რომ ველიკოროს მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ველიკოროს მუჟიკმა იმავე დროს დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცისა და მემამულის ძირს ჩამოგდება" (ტ. XVIII, გვ. 96).

პროფ. დ. ბლაგოი.

ხევსური მოსწავლეები. ფოტო რ. აკოფოვისა

საზეიმო საღამო ინდუსტრიულ ინსტიტუტში

30 აგვისტოს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში შესდგა საზეიმო საღამო, მიძღვნილი ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი. ინსტიტუტის კლუბში თავი მოიყარეს ახლადმიღებულმა სტუდენტებმა, ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა და პროფესორ-ლექტორებმა.

სტუდენტებს მიესალმნენ ინსტიტუტის პროფკომი ამხ. გ. მშველიძე, ალკკ კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ყურაშვილი, ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ა. ბოჯგუა, ლექტორი ამხ. მ. გვახარია, ენერგოფაკულტეტის დეკანი ამხ. კასიანი, ახლადმიღებული სტუდენტების სახელით გამოვიდა ამხ. ლაპიაშვილი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები მიესალმნენ ახალგაზრდა სტუდენტებს და უსურვეს წარმატებები ტექნიკური მეცნიერების დაუფლებაში.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოპერის თეატრის მსახიობებმა ორდენოსნებმა ე. სოხაძემ, ნ. ხარაძემ, მ. ყვარელაშვილმა, შ. ცირღილაძემ, რუსთაველის თეატრის მსახიობმა დ. გაგუამ, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებმა ძაგნიძემ და ჩხიკვაძემ, სახესტრადის მსახიობებმა ვ. კობელმა და სვანიძემ.

გ. გ.

„კომუნიზმის გზით"

გამოვიდა ახლადჩამოყალიბებული მცხეთის რაიონის პარტრაიკომისა და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მცხეთის საორგანიზაციო კომიტეტის ექვსდღიური ნაბეჭდი გაზეთის „კომუნიზმის გზით"-ის პირველი ნომერი.

საინტერესო აღმოჩენა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ამხ. ი. მეგრელიძეს, რომელიც დიდოეთში (დაღისტნის ასსრ) დიდოური ენის შესასწავლად იყო, ამ საქმესთან ერთად ყურადღება მიუქცევია იქ მატერიალური კულტურის ნაშთებისათვის და წუნტის რაიონის სოფ. ასახის მთებში, სოფელ რეტლოსა და ჩალიახის სამხრეთით მდებარე მთა ქიდილაშანზე აღმოუჩენია ბრინჯაოს ნივთები 62 ცალი და რამდენიმე ნიმუში შავი კერამიკისა.

ბრინჯაოს ნივთების ერთი ჯგუფი წარმოადგენს ორივე სქესის შიშველი ადამიანის ფიგურას, რომელზედაც კარგად არის გამოხატული ფალოსის კულტი, რაც, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო ძველ საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში. ფიგურების ნაწილი დოინჯშემოყრილია, ზოგს ხელები ზევით აქვს აპყრობილი, ზოგსაც თავზე შემოდებული, ზოგიერთიც ტანჩაცმულია, უჩვენებს იმ დროის ადამიანის შესამოსავს და თავსამკაულს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შვილდისრით შეიარაღებული მეომრის გამოხატულება. ტიპები კავკასიურია და ზოგიერთ მათგანს აქვს ქალდურისა და ხეთური კულტურის დამახასიათებელი ნიშნები, ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს ცხენი და ირმის თავი გაშლილი რქებით.

ამ აღმოჩენას ფრიად დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და დიდ ინტერესს იწვევს მკვლევარებში.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

„სპარტაკი" გავიდა ნახევარფინალში

30 აგვისტოს მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის თასის გათამაშებაზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და სტალინოს „სტახანოვეცის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით (3:0), რითაც იგი გავიდა ნახევარფინალში.

მორიგი მატჩი სსრ კავშირის თასზე შესდგება 8 სექტემბერს მოსკოვში. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო".

ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე ბაქოს „ტემპი" და ლენინგრადის „სტალინეცი".

სსრკ პირველობაზე

31 აგვისტოს მოსკოვში ჩატარდა მორიგი შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის „მეტალურგსა" და „ლოკომოტივს" შორის. მატჩი მოიგო „მეტალურგმა" ანგარიშით 2:1.

○

მოსკოვის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „სტალინეცს" შორის ჩატარებული მატჩი პირველის გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:1.

○

30 აგვისტოს, თბილისში ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი" და მოსკოვის „ბურევესტნიკი". შეჯიბრება დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით (4:2).

საქდესის გასწორება

„კომუნისტის" 30 აგვისტოს ნომერში, მესამე გვერდზე დაბეჭდილი წერილის „მეტი ქვანახშირი, მეტი მარგანეცი" მეოთხე სვეტის მერვე სტრიქონი ზევიდან უნდა იკითხებოდეს: „150 ტონა ქვანახშირს ვიძლეოდით" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახესტრადა
მალე
ყუბანის ყაზახები
3—1

სახესტრადა
მალე
თამარ წერეთელი
3—1

სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ. 3-19-50)

საზაფხულო თეატრი
სახელმწიფო ოპერეტის თეატრის წარმოდგენა
1 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 96
მ ა რ ი ც ა
მუს. კომ. 3 მოქმ.
სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სალარო ღიაა დღის 11 საათ. 3 საათ., საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.

ღია ესტრადა
1 სექტემბერს
ხუმრული კინოსურათი
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

ჯანსახკომის ეპიდემიური სამმართველო
ა. წ. 15 სექტემბრიდან თბილისის დეზსადგურთან ხსნის დეზინსტრუქტორთა მოსამზადებელ ერთწლიან კურსებს.

კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 18-დან 45 წლის ასაკამდე განათლებით არა ნაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა. კურსებზე ჩარიცხულთ მიეცემათ თვიურად 120 მანეთი სტიპენდია, უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით (კურსანტები თან მოიტანენ მხოლოდ ლოგინს) და რაიონიდან ჩამოსულთ მიეცემათ საგზაო ხარჯები.

განცხადებები მიიღება 12 სექტემბრამდე, ჯანსახკომის ეპიდსამმართველოში (ოთახი № 2). განცხადებებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას განათლების, დაბადების, ჯანმრთელობის, სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობები და 2 ფოტოსურათი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

2934 ჯანსახკომის ეპიდსამმართველო.

სახესტრადა
მალე
ელენა ლემარი
3—1

სახესტრადა
მალე
კემპერის ჯაზი
3—1

ა. წ. 1 სექტემბრიდან უქმდება ელექტროენერგიისათვის ფულის ადგილზე აკრეფის წესი.

შემდეგში ეს თანხები აბონენტებმა უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 5 დღისა კომუნალური ბანკის ერთერთ საშემოსავლო სალაროში ანგარიშებით, რომლებსაც ყოველთვიურად გამოსწერენ ჩამწერი კონტროლიორები.

155 თელასის დირექცია.

საქართველოს სახდაწესებულებების პროფკავშირთან არსებული კურსები „სტენოტიპისტი" ა. წ. 5 სექტემბრიდან
ხსნის სტენოგრაფთა მოსამზადებელ ქართულ ჯგუფს.
პირობების გასაგებად მიმართეთ კურსების კანცელარიას, ჭავჭავაძის ქ. № 1, ტელ. 3-58-00.
ცნობების გაცემა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
336 ადმინისტრაცია.

გრძელდება მიღება
სამკერვალო ინდუსტრიულ ტექნიკუმში
მექანიკურ სპეციალობაზე.
მისამართი: კალინინის ქ. № 60.
2—2 332 დირექცია.

ა. წ. 30 ივლისს გალის რაიონის სოფ. ოქუმში მცხოვრები ქვათა გაბლაია გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა. ტანად საშუალოა, ტანზე აცვია რუხი ფერის ხალათი, შარვალი გალიფე, შავთვალწარბა, ძუნძგია, მარცხენა მხარეზე აქვს ოქროს კბილი. მნახველი ჯილდოდ მიიღებს 500 მან. გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: ავჭალის შამპანური ღვინის ქარხანა. რომან ჯანჯულია.
ტელ. № 3 64-01. 2889

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სქესობრივი სისუსტე ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეია.
ავადმყოფების მიღება დილ. 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, ქალებისა და ბავშვების—საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 (მე-4 შესავალი, მე 2 სართული)

ამხანაგები: მურადაშვილი, ჰელიძე, ბასილაია, ლომთაძე, ჩიქობავა, იფრემიძე, პუდოვა, ურუშაძე, გაბუნია, ბანცაძე, ჯაფარიძე, მარიამიძე, სურმავა, ლასხიშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ თამარ კაშიას მამის
კონსტანტინეს
გარდაცვალების გამო. 2947

თბილჯანგანის ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ამავე ინსტიტუტის თანამშრომელ
დავით იოსების-ძე თარხნიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/IX 7 ს. გრიბოედოვის, 6. დაკრძალვა 2/IX 5 ს. 2946

დამწუხრებული მეუღლე ოლია, შვილები ქეთო, გიორგი და ირაკლი (ხუზა), რძალი ვარდო ახობაძეები იუწყებიან დაუვიწყარ
ნოე გიორგის-ძე ახობაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 3/IX ქ. სამტრედიაში, ლენინის, 37.

მეზობლები ლეჟავა, გრიგოლია, ჩარექიშვილი, დოლიძე, ბასილაძე, ანდრიაშვილი, გოკიელი და ცისკარიშვილი მწუხარებით იუწყებიან ტოსია აბრამოვის საყვარელი დედის
სოფიო აბრამოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/IX 5 ს. გამოსვენება ყაზბეგის, 24. 2951

პროფ-ბი ლ. ფირცხალავა, ბ. ოქროპირიძე, დოც. ნ. კამალოვი, ექიმები მ. მუჯირი, კ. ტყეშელაშვილი, ე. აბულაძე, სარა აბულაძე, სოლ. აბულაძე, ე. კოჩარიანი, მ. ბეშია, ვ. მატაბელი, ივ. გიოშვილი მწუხარებით იუწყებიან პროფესორ
ილია ასმეტელის
გარდაცვალებას. 2949

საქ. სხვადასხვა სარეწაოთა კავშირის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ამავე კავშირის პრეზიდიუმის მდივნის კორნელი კახიანის ძმის
ევგენი (დუდუ) სევერიანის-ძე კახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IX ს. ეწერში (სამტრედია). 2954

შვილები ფილომინა, თამარ, ანნა, ბარბალე, დავით ფეიქრიშვილები, სიძეები: ალექსანდრე დევიძე და ვასილ მაისუროვი იუწყებიან
მარიამ ზაქარიას-ასულ ფეიქრიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 სექტემბერს. 2945

დამწუხრებული დედა ივლიტა, მეუღლე კატუშა, ძმა კორნელი, რძალი მარო, და ოლიმპიადა იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ
ევგენი (დუდუ) სევერიანის-ძე კახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 სექტემბერს ს. ეწერში (სამტრედია). 2952

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—208